

# ს ს ი ვ ი



№ 13

ყოველკვირეული ჟურნალი.

№ 13

ყოველკვირეული სახლიტიკო, სამეცნიერო & სალიტერატურა ჟურნალი

## „ს ს ი ვ ი“

ვახუთის ფასი—ერთი წლით—5 მან. ნახევარი წლით—3 მ. ერთი თვით—ათი შაური. ცალკე ნომერი ორი შაური. ხელის მოწერა შეიძლება ავრკეთვე რამდენიმე ნომერზე, ორი ორი შაურის ანგარიშით, არა ნაკლებ ხუთისა.

ფოსტის ადრესი: Тифлисы, Типографія „Печатное Дѣло“, Александрю Сардіоновичу Ландіа, (Вельяминовская, 6).  
რედაქტორ-გამომცემელი ე. ცურაშვილიძე.

მეთაური.— ქალაქის საბჭოში, მეთვალყურისა, სახელმწიფო ღუმბა.—საზღვარ-გარეთი.—რუსეთის ცხოვრება.—კორესპონდენცია: ბაქო, სტ.-სი.—შინაური მიმოხილვა, ნარისა.—ჩემი დღიური, სპ. მცირიშვილისა.—წერალი თეირანიდან, რასულ-ზადესი.—\* \* \* ლექსი, ვ. რუხაძისა.—ეკონომიური ცხოვრების განვითარება, შვარცისა.—ბებერი ბგელი, ლექსი პროზათ, ნ. ზომლეთელისა.—მუშათა კავშირები თბილისში, მ. ჩ-ლისა —მცირე შენიშვნა, იასი. სოციალიზმი და ანარქიზმი, რაიხესბერგისა. განცხადებანი.

## რედაქციისათვის.

ვახსენებთ-რა ჟურნალ „სხივის“ გამოცემას, ვაცხადებთ, რომ დღეიდან მასში დიდი ადგილი დაეთმობა მიმდინარე ცხოვრების ყოველგვარ საჭირო-ბოროტო კითხვებზე მსჯელობას. მოთავსებული იქნება აგრეთვე სამეცნიერო პოპულიარული წერილებიც.

თფილისი, 30 მაისი.

ბევრს კიდევ სჯეროდა, რომ სამი ივნისის ღუმბა შესძლებდა და საჭიროთაც დაინახავდა სახალხო წარმომადგენლობის პრინციპის დაცვას. ზოგიერთი კიდევ მოელოდა, რომ ოქტომბრისტებმა გონს მოვიდოდნენ და არ დაიწყებდნენ სახალხო წარმომადგენლობის იმ ტოტის მოჭრას, რომელზედაც თვითონ სხედან და რომელმაც არარაობისაგან ისინი ადაზიანებდად გამოიყვანა. ბევრ გულწრფელ ხალხის მეგობარს და დემოკრატს კიდევ იმედი ქონდათ, რომ ცხოვრების განვითარება მარცხნით დაახვეწებდა ამ „დაკარგულ დოკუმენტის“ პარტიას. მაგრამ ყოველივე ასეთი იმედი სრულიად უსაფუძვლო გამოდგა, და არა გვერანია, მომავალში კიდევ ექნეს ვისმე უფლება, საყვიდურით მიმართოს მათ: იმედი გაგვიტრუეთო...! პროლეტარიატის პარტია დიდი ხნა ამბობს, რომ ოქტომბრისტებს მხოლოდ თავისი კლასობრივი ინტერესები ამოქმედებს და ამ მხრით ისანი თავის თავს არასოდეს არ დალატობდნენ. ასეთ ლალატს მხოლოდ მათი მეზობელი და მეტოქე კადეტები სწამებდნენ და სწამებენ დღესაც.

მართლაც და რა არის მოულოდნელი ოქტომბრისტების დღევანდელ გამოხვლაში თუნდ ფინლიანდიის საკითხში, ფინლიანდიის განადგურებაში, ან დასავლეთ გუბერნიების ერობისსაკითხში?

„ოქტომბრისტები ხომ ყოველთვის სხილი კაპიტალსა და სხილი მიწათმფლობელობის პარტიას წარმოადგენდნენ?“ ასეთივე არიან დღესაც. როგორც სხილი კაპიტალისტების პარტიას, ოქტომბრისტებს სჭირდებათ პირველ ყოვლისა მშვიდობიანობა შინ, მაგრამ მშვიდობიანობა თავისი კლასისთვის, რომლის სული და გულიც მხოლოდ და მხოლოდ მოგებაა და ამ მოგების მოსაპოვებლათ ფართე ასპარეზია საჭირო. „მშვიდობიანობის“ დამყარებას კი მთავრობა ცდილობდა, იგი ანადგურებდა სახალხო მოძრაობის ყველა ნაშთებს და ამითი აიხსნება, რომ ღუმბასოვიდან დაწყებული სტოლიპინამდე ყველა მთავრობის წარმომადგენლებს ტაშს უკრავდა ოქტომბრისტების პარტია წინეთ და ტაშს უკრავს დღესაც; ღუმბასოვს—მოსკოვის განადგურების შემდეგ 1905 წლის დამლევის, სტოლიპინს—პირველი ღუმბის გარეკისა და სამხედრო-საველე სასამართლოების შემოღებისათვის. თავისი კაპიტალის უფრო ფართო საზღვრებში საპარპაშოთ იგი წინააღმდეგი იყო წინეთ პოლონეთის ავტონომიისა, დღეს ავიწროებს პოლონელებს ექვს გუბერნიაში და ანადგურებს ფინლიანდიის ავტონომიას. მისთვის ყოველივე ეს ისეთივე საჭიროა, როგორც ხალხის კრუ წარმომადგენლობა. ამიტომაც დაინახეს მათ სამი ივნისის ღუმბაში „სახელმწიფო სიბრძნე“. მათი მასულდგმულე-ბული მხოლოდ მაღალი ცენზია, რომელიც კარებს უხშავს ნამდვილ ხალხს, დემოკრატებს. ასეთი მათი ბუნების შედეგი იყო ისიც, რომ ისინი ექვსი ავვისტოს (ბულიგინის ღუმბა) წარმომადგენლობით კმაყოფილდებოდნენ. მას შემდეგ მათ კრინტიც არ დაუძრავთ მთავრობის წინააღმდეგ და 17 ოქტომბრის აქტი მათი სურვილის წინააღმდეგ თუ არა—გარეშე მაინც გამოიცა. ისინი სათათბირო ღუმბითაც ადვილათ მოუვლიან თავის თავს,

თავის ინტერესებს, რადგან ძველი რეჟიმის დროსაც კარგათ ახერხებენ თავიანთი საქმეების მოწყობას.

იგი არის მებრძოლი კაპიტალი, იმპერიალისტური მიმდინარეობის გამომხატველი პარტია და თუ დღეს მაინცა და მაინც მკაფიოთ არ აყენებს ამ საკითხს, მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთი წელ-მოწყვეტილია უკანასკნელ წაგებულ ომით. ისე კი, ეს იმპერიალისტები სულ ყოველთვის თავს დასტრიალებს სამი იენისის დუმას ბიუჯეტის განხილვის დროს, და ამიტომაც არის, რომ ყოველთვის საზღვაო ძლიერებაზე ჩამოადგდებიან ხოლმე ბაასს და ყველაზე უფრო სასტიკათ ამ სამინისტროს ეპყრობიან მათი ლიდერები. ამითია გამოწვეული აგრეთვე მათი მუდმივი რევერანსები რუსეთის მ'ედრობის წინ.

ასეთია ოქტომბრისტების პარტია. იგი მზათ არის თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის უარყოფის სახალხო მოძრაობის ის ნაშთიც კი, რომელთაც სამი იენისის დუმა ეწოდება. მისთვის სასურველია მშვიდობიანობისათვის, სამოქმედო ასპარეზის გაფარაოებისათვის იგი მზათ არის, მთავრობის ყურ მოქრილ მონად გახდეს და გახდა კიდევ, რადგან მხოლოდ მისგან მოეღოს თავისი პოზიციების დაცვას.

ამიტომ, ადვილი გასაგებია მისი ყოფა ქცევა ფინლიანდიის საკითხშიაც. თუმცა ფინლიანდიის განადგურება რუსეთის „კონსტიტუციის“ საფუძვლის ძირიანათ შერყევას მოასწავებს, მაგრამ ოქტომბრისტებმა მაინც არ დაიხიეს უკან და მთელი თავისი ძალებით მთავრობას აპოუდგენ გვერდში.

ნათქვამის შემდეგ ამ მოქმედებაში საკვირველი და აუხსნელი არაფერია, საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ზოგიერთები კონსტიტუციისა და ძირითადი კანონების ღალატს სწამებენ ოქტომბრისტებს!

მართალია, ისინი, როგორც კონსტიტუციონალისტები, პირზე მურ წასმული გამოვლენ ფინლიანდიის „საქმიდან“, მაგრამ ამითი თავისი კლასის საქმეს და ინტერესებს ემსახურებიან და თავისს მისსიას ასრულებენ...

## ქალაქის საბჭოში

17 მაისს ქალაქის საბჭომ გაარჩია რამდენიმე საინტერესო საკითხი. უმთავრესი ყურადღება მიიქცია თფილისში უნივერსიტეტისა თუ პოლიტექნიკუმისთვის გადადებული ფულის საკითხმა. ამ საქმისთვის დაარსებული მთავარი კომიტეტი აცნობებდა საბჭოს, რომ მთავრობის აზრით აუცილებელია, ყველა დაწესებულებებმა გაანაღდონ თავიანთი დაპირებანი უნივერსიტეტის სასარგებლოთ გადადებულ თანხების შესახებ და თუ დავინახავთ, რომ საკმაო ფული გროვდება, მაშინ დართავს მისი დაარსების ნებასო. თფილისს ამ საქმისთვის გადადებული აქვს ასი ათასი მანეთი ერთ დროულათ, ყოველ

წლიურათ 30 ათასი მანეთი, კიდევ 50 დესეტინა მიწა ავლაბარში სასწავლებლისათვის და 150 დესეტინა მისივე მოსახმარათ, რომელიც უნდა გაიყიდოს და ფულით იქცეს. აი, ამ დაპირებათა განაღდებას მოითხოვდა კომიტეტი. ქალაქის გამგეობას დაუდგენი, დაპირებულ 100 ათასი მანეთის ახლავე კომიტეტის ხელში გადაცემა, რასაკვირველია იმ პირობით, რომ უნივერსიტეტი თფილისში დაარსდეს. მიწების გადაცემა და განაღდება კი მოუხერხებლათ დაუნახავთ. კამათი უმთავრესათ იმის გარშემო ტრიალებდა, თუ როგორ უნდა მოეწყოს გადაცემა ისე, რომ ფული თავის დანიშნულებას მოხმარდეს და შემოწირულების ზომებს საშვალემა არ ექნეს, სხვა რამეზე დახარჯოს იგი ან სხვა ქალაქში დაარსებულ სასწავლებელს არ მოახმაროს. ეს სიფრთხილე მართლაც საჭიროა, მით უმეტეს, რომ კომიტეტი და მთავრობა თავისი მხრით დიდ უნდობლობას უცხადებენ სხვათა შორის ქალაქსაც. ამას ხაზი გაუსვეს ხოსნებმა ტიგრანოვმა და სვეშნიკოვმა. ისინი თავისი მხრით სრულ უნდობლობას უცხადებდენ ამათ, ვის ხელშიც მომავალი სასწავლებლის ბედია, მაგრამ მათი უნდობლობა მხოლოდ კომტაციული ხასიათისა იყო. პრინციპიალური უნდობლობა მხოლოდ ბ. ჯაფარძე გამოაცხადა. მისი აზრით, სრულიად მეტია დღეს ამ კითხვაზე ლაპარაკი და დაპირებათა განაღდება, რადგან სახ. განათლების სამინისტროს მიერ სახ. დუმაში შეტანილი პროექტი საუნივერსიტეტო წესდებისა იმდენათ უვარგოსია, რომ თუ იგი დამტკიცებულ იქნა, მაშინ არც კი ელირება უნივერსიტეტის დაარსებაო. ამ წესდებით უნივერსიტეტის მეცნიერების ტაძარი კი არა, ჩინოვნიკების აღმზრდელი დაწესებულება იქნება და ამაზე ქალაქმა არც ერთი კაპეიკი არ უნდა დახარჯოსო ჩვენი აზრით, ეს შეხედულება სამართლიანია და ღირსეული პასუხი იქნებოდა ქალაქის საბჭოსაგან ახალი პროექტის ავტორებისადმი. სამწუხაროთ, მას თითქმის არავინ მემხრო და მისი განცხადებაც რაღაც მორიდებული და გაუბედავი იყო. ჩვენი ხმონებიც მეტათ გატაცებულო აზიან უმაღლესი სასწავლებლის დაარსების სურვილით და ალბათ ამ აუდიტორიამ იქონია მასზე გავლენა. საბჭომ თითქმის ერთხმათ დაადგინა, ფულის ამ თავითვე გადაცემა, ხოლო პირობების გამომუშავება მიანდო იურიდიულ და საფინანსო კომისიებს.

მეორე საყურადღებო საკითხი იყო ვენერიულ საავთმყოფოსთვის საკუთარი შენობის აგება, აზისათვის საჭირო მიწის შეძენა და თანხის გადადება. საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება და გადასწყვიტა, შეიძინოს საჭირო მიწა დიდი მთავრის ქუჩაზე, რაც უჯდება 50 ათასი მანეთი. ჩვენ დიდი მომხრე ვართ იმისა, რომ ქალაქის ყველა დაწესებულებები ქალაქსავე შენობაში იყოს, ნამეტურ საავთმყოფო და სასწავლებლები, რომელთათვის აუცილებლათ საჭიროა საკუთრივ მათთვის მოწყობილი შენობები, მაგრამ არ მოგვეწონა მიწის საყიდლათ ამდენი ხარჯის გაწევა იმ დროს, როცა ქალაქს ბევრი აუცილებელი მოთხოვნილებები აქვს დასაკმაყოფილებელი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქალაქს ადვილათ მო-

ცდებნებოდა საკუთარი მიწა ამ საქმისათვის, და არც გამგეობა მალავდა ამას. მას ქონია ორი ყოველმხრივ გამოსადეგი ადგილი: ერთი დიდუბეში და ერთიც ვოგზალთან, ტამოყნის პირდაპირ, მაგრამ როგორღაც წარმოუდგენიათ, რომ ესენი ძალიან დაშორებულია ცენტრიდან. ეს აზრი შეკლომათ მიგვაჩნია, რადგან არც შესაძენი ადგილი არის ცენტრში, და თუ ის გამოსადეგია, მაშინ ქალაქის მიწებიც არ უნდა ჩაითვალოს უვარგისათ. ჩვენ ვფიქრობთ რომ მიწის საყიდლათ გაწეული ხარჯი სრულიად მეტი იყო ჩვენი, სესხით გამდიდრებული, ქალაქისათვის. მოსაწონი იყო და არის თვით საავთმყოფოს გაუარყოფება -- 50 ის ნაცვლათ 120 კრაიტამდე აყვანა. თფილისის მცხოვრებლები დიდ გაჭირვებას განიცდიან საავთმყოფოთა ნაკლებობით და დროა მიაქციონ თავიანთი ყურადღება ჩვენი ქალაქის "მამეზბა". იმ ორმოცდა ათი ათასით კი მეორე საჭირო და კარგ შენობას ააგებდა ქალაქი...

დაიწყეს მსჯელობა მთავარი ბუზგალტერის თანაშემწის ოტიანცისათვის საექიმო დ. ხმარების მიცემის შესახებ, მაგრამ ქვორუმის დადნობის გამო კითხვის გადაჭრა გადაიდო. დახმარებას, უეჭველია, აღმოუჩენენ და ალბათ ღირსიც არის მთხოვნელი, მით უმეტეს, რომ ქალაქის გამგეობა ამტკიცებდა, ბევრი მეტი შრომა შეხვდა ბნ ოტიანცს მთავარი ბუზგალტერის ავთმყოფობის გამო. ეს ჩვენ გვჯერა, თუცა ძნელი დასაჯერებელი კია ქალაქის ბუზგალტერიაში, იქ, სადაც, ყველას დაკვირვებით, მეტათ დიდი შტატია, ერთი კაცის ავთმყოფობამ მეორეს ისეთი გადამეტებული შრომა მიაყენოს, რომ ნერვებიც აუშალოს და მჩვრად აქციოს, თუ ყველა მოსამსახურენი თავის ადგილზე არიან და მოსამსახურეთაც ესმით რამე საქმისა! სამუხაროთ, სწორეთ ამ მხრით კოკლობს ქალაქის თვ-თმძა-თველობა. და არც ცდილობს ნაკლის შევსებას. რატომღაც აქ არ არის შეგნებული ჯერ ის აზრი, რომ ქალაქისა ანუ საზოგადოთ მუნიციპალური ბუზგალტერია დღეს განსაკუთრებული სწავლის საგნად არის გამხდარი და თავისა სპეციალისტები ყავს. ჩვენს თვითმართველობაში ამ საქმის ხელმძღვანელობას ყოველთვის არა სპეციალისტებს და მოუმზადებელ პირებს ანდობენ...

უკანასკნელ ორშაბათს იმდენათ საყურადღებო არაფერი ყოფილა გარჩეული. რამდენიმე წვრილმანი საქმის გარჩევის შემდეგ საბჭო შეუდგა გამგეობის წინადადების განხილვას მიხეილის პროსპექტის მოკირწლისა თუ მოფენის შესახებ. გამგეობის სურვილი იყო, საუკეთესო ასფალტით მოჟენა ამ მთავარი ქუჩისა, ჯერ-ჯერობით მისი ნაწილის, ნემეცების ქუჩიდან ზალის ქუჩამდის. ეს საცდელათ და შემდეგ კი მთელი ქუჩისა თავიდან ბოლომდე. ეს ცდა, რასაკვირველია, საქმის საბოლოოთ გადამწყვეტი იქნება, რადგან შემდეგ ესტეტიური მოსაზრებაც წაპოყოფს თავს. საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება და საჭირო თანხა გადასდო. ამავე რიგის კითხვა იყო ვაკელების თხოვნაშიც. იმათ უნდათ თავიანთი „პროსპექტი“ საუკეთესო სისტემით გააკეთონ და უმტკიცებენ ქალაქს,

ეს უფრო იაფი დაგიჯდებათო და ნახევარ ხარჯს თითონ კისრულობენ, როგორც ამას ამბობდა მათი „წარმომადგენელი“ თავ. ბებუთოვი. მეორე ვაკელი კი, ბ. ჯაბადარი წინააღმდეგი გამოდგა ამ წინადადებისა, რადგან იგი, მისი სიტყვით, არც ვაკელებისთვის არის ხელსაყრელი და არც ქალაქისთვის. ხმ. ჯაბადარი ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ ახლო მომავალში ვაკეში ტრამვაი უნდა გაიყვანონ და მაშინ ტრამვაის საზოგადოება მოკირწლეს ოთხ საყენზე მთელ ქუჩასო. ეს, რასაკვირველია, საყურადღებო მოსაზრება იყო; თუ კი მართლა ახლო მომავალში მოხდება ასეთი საქმე. ამით ქალაქი რამდენიმე ასი ათას მანეთს გადაარჩენს, თუ მანამდის ვაკელები არ ჩაიხრჩვენ ტალახში. საბჭომ უარყო ვაკელების წინადადება და ისევ ძველი დადგენილება დასტოვა ძალაში, რომლითაც ვაკელებისათვის გადადებულია თუთხმეტი ათასი მანეთი და მთავარი ქუჩის მოკირწლვას შეუდგებიან, როცა ვაკელი მიწის მეპატრონეები შემოიტანებენ იმავე საქმისთვის თუთხმეტი ათასსა.

ორივე ეს კითხვები ერთ დიდ კითხვას აყენებენ ჩვენ წინ. ყოველი ქალაქის გამგეობა შუაგულ ქალაქზე, მის ცენტრზე ზრუნავს და ალამაზებს, განაპირა ადგილები კი მივიწყებულია. ამას მოწმობს მიხეილის პროსპექტზე გამოჩენილი მზრუნველობაც, საცა ასფალტით აპირებენ ქუჩის გამშენებას, და განაპირა ნაწილები კი, წვრილფეხობის საცხოვრებელი უბნები ტალახში იხრჩობა; ამას მოწმობს ისეთი პატარა ფაქტი, როგორც არის გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის წინ „გაზონების“ მოწყობა და ყვავილებით მისი გაშენება იმ დროს, როცა განაპირა ადგილებში საცალფეხო, ფენის გასამშრალებელი ტროტუარიც კი არ მოიპოვება.

რაც შეეხება ვაკელების კითხვას, ამაზე აქ არ გავაგრძელებთ სიტყვას, რადგან ეს უბანი განსაკუთრებულ პირობებში ვითარდება. მართალია, დღეს, რამდენიმე სასწავლებლის ვაკეში გადატანის შემდეგ, ეს უბანიც და მისი ქუჩებიც ღირსია ყურადღებისა, მაგრამ იქაური მიწის მეპატრონეები მეტათ აშკარა სპეკულიანტები არიან და თუ კი მოსახერხებელი იქნება, ქალაქმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ მათ ხარჯებში მონაწილეობა მიადებინოს.

მეთვალყურე



## სახალგაოფო ღუმ.

22 მაისს ღუმ შეუდგა თინდიანდიის შესახებ კანონპროექტის განხილვას. ამ კანონპროექტის ბედი დიდი ხანია გადაწყვეტილია. მთავრობის სურს, რომ საზოგადოება არდადეგებადის იქნეს ის მაღლები და შესაძე ღუმაც უსრულებს სურვილს თავის მბრძანებელს. შესაძლებელია, შეიტანოს ღუმამ რამდენიმე ცვლილება, რაც, კანონპროექტს არსებითათ

გერ შესწავლის და, რასაკვირველია, ფინლიანდიის საკეთილ-  
დღეობთ არ იქნება მიმართული.

კანონ-პროექტის მიზანია, მოუსხდეს ფინლიანდიის სეიმს  
კანონმდებლობითა უფლებები და გადაქციოს ის სათათბირო-  
დაწესებულებად, ფინლიანდია დაუმორჩილოს საზოგადო სამ-  
პური კანონმდებლობას, ფინლიანდიის მკვიდრნი გაუთანა-  
სწორონ იმპერიის დანარჩენ ინტრადებს. კანონ-პროექტი ხა-  
მოთვლილია ის კითხვები, რომლებსაც საზოგადო მნიშვნე-  
ლობა აქვს და რომლებიც დუმამ უნდა გააჩინოს. მხოლოდ  
კანონ-პროექტის რედაქცია ისეთია, რომ ამ კითხვების რიცხვი  
შეიძლება ზირველსავე შემოხვევაში გადადეს, და, შეიძლება  
ბოლოს იქმდე მივიდეს, რომ იფინლიანდიის სეიმი და საზო-  
გადოთ ავტონომია ფიქციად, ანარად იქცეს. დუმას კომისიამ  
მიანგრების კანონპროექტთან შედარებით გამწავლა იმ კითხვე-  
ბის რიცხვი, რომელიც დუმამ უნდა განიხილოს.

მთავრობამ და შესამე დუმამ აშკარათ გადალახეს ელე-  
მენტარული იურიდიული ნორმები: დუმამაც და მთავრობამაც  
საჭიროთ იტყეს, რომ ფინლიანდიის სეიმს გამოეთქვა თავისი  
აზრი ამ კანონ-პროექტის შესახებ, სხამ დუმა განიხილავდა  
მას, დუმის კომისიამ კი რამდენიმე დღითაც არ გადასდო კა-  
ნონპროექტის განხილვას, რომ მოესმინა სეიმის აზრი. კომი-  
სიაში ცენტრის და შემარჯვენებების წარმომადგენლებმა სიხუ-  
მის დემონსტრაცია მოახდინეს: რომ კანონპროექტის განხილ-  
ვა არ გაგრძელებულიყო, ომონიციის ორატორებს მასუხს  
მხოლოდ კენჭის ერთი აძლევდნ. ასე იქცევან დუმამაც.  
ზირველსავე სხდომასე წინადადება შეიტანეს, რომ კანონ-  
პროექტი სჩქაროთ ენოთ. ეს წესი მდგომარეობს შემდეგში  
ეფუელი კანონ-პროექტის შესახებ ჟერ საზოგადო კამათია,  
შემდეგ ორჯერ წაიკითხვან ხოლმე სხვა და სხვა სხდომებზე.  
მერე წაკითხვის დროსაც შესაძლებელია შესწორების შეტანა.  
მხდება ხოლმე, რომ მერე კითხვის დროს კანონ-პროექტი  
სრულიად სხვა სახეს ღებულბს. ეფუელ, ცოტათ თუ ბე-  
გრათ საყურადღებო კანონპროექტს იხილავან ამხარათ.

საჩქაროთ განხილვის დროს კანონ-პროექტს მხოლოდ  
ერთხელ კითხულბს. ამხარათ ექცევან უმნიშვნელე კანონ-  
პროექტებს, რომლებიც კამათს არც კი იწვევენ. ფინლიანდიის  
შესახებ კანონ-პროექტი, რომელმაც რუსეთისა და დასავლეთ  
ევროპის დემოკრატიული კი არა, ლიბერალური წრეებიც ადა-  
შოთათ, აშკარა პროტესტი გამოიწვია, თავდაჭერილ ევროპე-  
ლებს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევაც კი გაბეღინა, ეს  
კანონპროექტი უმნიშვნელე კანონ-პროექტებს გაუთანასწორეს.

საჩქარის წინააღმდეგ ცხარეთ ილაზარაკა მილიეუკუმს.  
მას მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ამ საკითხის დროს დუმა  
ასრულებს დამფუძნებელი კრების როლს. ამისთანა შემთხვე-  
ვაში კითხვის გარევისთვის განზრახ რთულ წესებს მიმართა-  
ვენ ხოლმე, რომ კითხვა საფუძვლიანათ იქნეს გარჩეული,  
თქვენ კი არსებულ წესებსაც ამარტივებთ და ამოკლებთ.  
საჩქარეს არ მოითხოვს არც იმპერიის, არც ფინლიანდიის  
ინტერესები, აშკარა ზომოთხეობას, ვითამ კანონპროექტის  
განხილვას ფინლიანდიის საკეთილდღეობთ აჩქარებდეთ. დუმამ  
186 ხმით 120 წინააღმდეგ კანონ-პროექტის საჩქაროთ გან-  
ხილვა მიიღო. საჩქარის მომხრე იყვენ ეველს შემარცხენე  
ექტომბრანტებიც, მთ შორის ეფუელი თავმჯდომარე ხე-  
მავკო.

თუ რისთვის იჩქარან ამ კანონ-პროექტის განხილვას, ეს  
გამომდევნა თავისი წინდაუხედავობით შემარჯვენე დემოკრატ-  
ბარონმა ჩერკასოვმა. ფრატციათა წარმომადგენლების შემოტე-  
ბულ სხდომასე მან მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ კა-  
ნონ-პროექტის განხილვას შესდგომადენ 17 მასის. დევან-  
დელი ზოლიტიკური მდგომარეობა, სოქვა ბარონმა, აადვი-  
ლებს კანონ-პროექტის მიღებას. რომ ის შემოდგომამდე გა-  
დავდოთ, შეიძლება მდგომარეობა შეიცვალას და მისი მიღე-  
ბაც საეჭვო გახდებო.

ცენტრმა და შემარჯვენებებმა ეფუელი დონე იღონეს, რომ  
კანონ-პროექტი ახლავე იქნეს მიღებული. კრებას ესწრებთან  
ეველანი. ზურიშკევიჩმა ერთ წინა კრებაზე არა ჩეულებობი  
სვანდალი მოახდინა. ტრიბუნადან მილიეუკოვს ჭაქა ესროლა  
და რომ დუმის ბოქაუეს გრაფინის ალება არ მოესწრო, მასაც  
ესროდა. ამისთვის თავმჯდომარემ წინადადება მისცა დუმას გა-  
მოკრიცხა ის 15 კრებიდან. ზურიშკევიჩი შეეხვეწა დუმას, რე-  
ცა ფინლიანდასე იქნება ღამარაკი, ჩემი აქ არ ეფონა შეუძ-  
ლებელია ოდონდ მანტიკოთ, და მე თქვენს წინაშე (მიმართა  
უმრავლესობას) დაარა იმთ წინაშე (ომონიციის) ბოლიშ მო-  
ვიხდი. დუმამც შეუმიცია სასჯელი, რომ კენჭის ერის დროს  
ერთი ხმა არ დაკლებოდა.

შემარჯვენებები თავდაჭერილათ იქცევან, რომ კითხვის  
გარჩევა არ გაჭინურდეს. ზურიშკევიჩსაც კი ჟერ-ჯერობით სკან-  
დალი არ მოუხდენია. საზოგადო კამათის დროს ორატორების  
რიცხვი შემცირეს ხუთმეტამდე.

აშკარათ სჩანს, რომ უმრავლესობას სურს კანონ-პროექტის  
მიღება. მას აზრს ვერაფერი ვერ შეცვლევინებს, რაც უნდა  
ნათლათ დაუმტყინოს მათი უნიადაგობა, მოსალოდნელი ხიფათი  
და უსამართლობა. ამიტომ ომონიციის როლი განსუსღვრულია.  
მას შეუძლია, გამოაშკაროს უმრავლესობის ფიზიონომია და  
სულის კვეთება. ამ გზას დაადგენ კადეტებიც კი, რომლებიც  
აქამდე ორგანიულ მუშაობასე ოცნებობდნ სამი იფინისის  
დუმამი.

ზირველათ ილაზარაკა კანონ-პროექტის შესახებ დენ. გეგუ-  
ჭკომმა. მცირე კრებთან ბრძოლა შესამე დუმის უმრავლესობის  
დრომასე სწერია. თუ ზოლბეუთი იმითი იმართლებთ თავს,  
რომ მართლმადიდებლობის საკეთილდღეობთ ებრძვით გატოლი-  
ციზმს, საჩქაროთხეობა რაღათ ებრძვით მართლმადიდებულ მტი-  
რე ერს? ორატორი არჩევს ფრიდრიხსგამის ხელშეკრულბას  
და ბორგოს აქტს, ამტკიცებს, რომ დუმას სეიმის ნუბადერთოვე-  
ლათ არა აქვს უფლება შესცვალოს ფინლიანდიის კონსტიტუცია.  
ამვე აზრის არან ომონიციის სხვა ორატორებიც, მაკლავოს  
გარდა, რომელიც ამტკიცებს, რომ ჟერ კანონ-პროექტი უნდა  
განეხილას სეიმს და თუ ის უარყოფდა, მაშინ დუმას ქანდა მისი  
განხილვის უფლება. შემარჯვენების აზრით ფინლიანდაშიაც  
დღემდის თვითმპრობებლობა იყო, რეგორც მთელ რუსეთში,  
ანვითარი კონსტიტუცია მას არ ქანია. ცენტრის აზრით  
სხელმწიფო ინტერესები მოითხოვს, რომ ფინლიანდა გაუთა-  
ნასწორდეს იმპერიის დანარჩენ მკვიდრთ.

კამათი დასრულდა. ზოლბეულებმა გააცხადეს, რომ კენჭის  
ერაში მონაწილეობას მიიღებენ, ხოლო მუხლობით განხილვაში  
მონაწილეობასე უარს აცხადებენ. სოც.-დემოკრატებმა პროტეს-  
ტის ნიშნათ სხდომის დაბრახი დასტოვეს და კენჭის ერამი

მონაწილეობა აღარ მიუძღვით. დუმამ მიიღო კანონ-პროექტის მუხლობით განხილვა 186 ხმით 105 ხმის წინააღმდეგ. ოპოზიციასთან მისტყეს ხმა რამდენიმე შემარცხენე ოქტომბრისტმა: ბარანმა შეიენდორფმა, ბალტიის მხარის წარმომადგენლებმა და სხვ.

26 მაისს დუმა შეუდგა კანონ-პროექტის მუხლობით განხილვას. ტრუდოვიკები და სოც.-დემოკრატები დარბაზში არ არიან. კადეტებმა სცადეს შესწორება შეეტანათ. დუმამ განსახდგრა სულაპარაკო დრო ათი წამით პირველი მუხლის განხილვის დროსვე. მეორე მუხლის განხილვის დროს სცადეს ჩამოთვლილია ის სავნებო, რომელიც დუმამ უნდა განიხილოს, სულაპარაკო დრო განსახდგრეს ოცი წამით და სვალდებულთ იცნეს ევკლას სავნების ერთად განხილვა და არა ცალცალკე. ამის შემდეგ კადეტებმა, პროგრესისტებმა, პოლიტექლთა კოლმე და მუსულმანთა ჯგუფმატ მიატოვეს დარბაზი, დარჩენ მხოლოდ ცენტრი და შემარჯვენები.

## სახდვარგართი.

საარჩევნო ციებ-ცხელება დასვლეთ ევროპაში თითქმის განკლდა.

**ბელგიაში** დასრულდა არჩევნები. განახლდა ზარლამენ-ტის სახეგარი (არსებული წესის თანხმით მეორე სახეგარს არი წლის შემდეგ არჩევნებ) და უმრავლესობას ძველებურათ ისევ კლერკალები შეადგენენ. წინათ რვა ხმით სჭარბობდენ კლერკალები შეერთებულ ლიბერალებს და სოციალისტებს, ხლდა მხოლოდ ექვსით. ლიბერალებს და სოციალისტებს გამარჯვების იმედი ქონდათ. სოციალისტების ლიდერ ვანდერველდეს გამარჯვების მოლოდინმა სადერდელი აუშლდა და მინისტრის ზორტოველსკლაც კი ოცნებობდა, შესაფერი რესოლიუციით უზრუნველყო ბურჟუაზიულ სამინისტროში სოციალისტის მინისტრობა. მაგრამ მსხვილმა ბურჟუაზიამ ლიბერალებს კლერკალები ამჯობინა, მრავალ-რიცხვოვანმა წვრილმა ბურჟუაზიამაც სოციალისტებთან კავშირს ისევ ღვდლების მიხობა არჩია. კლერკალებმა მიიღეს 675,931 ხმა, ლიბერალებმა და სოციალისტებმა ერთათ 558,420 ხმა. არჩეულ იქნა 49 კლერკალი, 26 ლიბერალი, 12 სოციალისტი. მთელი ზალატა კი შესდგება 86 კლერკალისაგან, 1 ქრისტიანი დემოკრატისაგან, 44 ლიბერალისა და 35 მუშათა პარტიის წევრისაგან. ამნირათ, ვანდერველდეს კოვზი ტალახში ჩაუვარდა. ორი წელაწადი მანინ კიდევ უნდა უცადოს ზორტოველს. მით უკეთესი მისთვის. ჯერჯერობით მანინ გადაჩნა მონაწილეობა მიიღოს მუშების დახვრეტა-დაწიოკებაში, როგორც ეს უხდება საფრანგეთის მინისტრ-პრემიერს სოციალისტ ბრანსს და მის მეგობარს ვივიანს.

**ისპანიის** ახლათ არჩეულ ორივე ზალატებში უმრავლესობას შეადგენენ ლიბერალები. არჩევნების დროს სამინისტრო ლიბერალური იყო. ისპანიის საარჩევნო წესი იმდენათ უკულმართია და თან ისპანიაში იმდენი ბოროტ-მოქმედება სდება არჩევნების დროს, რომ არსებული სამინისტრო მუდამ ხმის უმ-

რავლესობას მიიღებს ხლმე. საარჩევნო ეუთებში თეთრი კენტების ზავის ადგილას გადასმა და ზავის თეთრის ადგილას გადასწოება ჩვეულებრივი მოვლენაა. უკანასკნელ არჩევნებში ლიბერალურ სამინისტროს ამ ძალდატანებისთვის არ მიუმართავს და მანინ უმრავლესობა მიიღო. ამით ისპანიაში უნდობლობა გამოუცხლდა კონსერვატორებს და კლერკალებს, რომლებმაც დახვრიტეს ოქრერი და სსსტიკი ზომებით, უხომო სისხლის ღვრით დასხეს ზარშნ ხლხის მოძრობა. — ქვედა ზალატაში წელს პირველათ იქნა არჩეული სოციალ-დემოკრატები. ზედა ზალატაში, მიუხედავათ იმისა, რომ მხოლოდ წევრების ნახევარი ირჩევა, მეორე ნახევარს კი ზოგს შეფე ნიშნავს, ზოგიც თავისი მდგომარეობით არიან ზალატის წევრები, მანინ ლიბერალები სსვა მტირუ-რიცხვოვან შემარცხენებთან ერთათ შეადგენენ უმრავლესობას.

**უნგრეთში** გაცილებით უფრო რთულია მდგომარეობა. 21 მარტს (ახ. სტ.) დათხოვნილ იქნა ქვედა ზალატ. მთავრობის მიერ კონსტიტუციის აშკარა დარღვევამ ისევ ააღელვა ოპოზიცია, რომელიც უმრავლესობას შეადგენდა, რომ მოქმედებით შეურაცხყვეს მინისტრები: ესროლეს ბრონზის საწერლები, სქელი წიგნები და სხვ. სამინისტროში შედიან აშკარა რეაქციონერები და ანტი-კონსტიტუციონალისტები, როგორც მაგ. კუენ-ჰედერვარია. ეგონათ, არჩევნებს შემოდგომამდე არ დანიშნავდა მთავრობა, მაგრამ კუენ-ჰედერვარიმ არჩევნები დააჩქარა და როგორც დებეშები იუწყება, არჩეულთა დიდ უმრავლესობას მთავრობის მომხრენი შეადგენენ. ძნელი დასაჯერებელია, რომ მთავრობისა და დებუტატების კავშირი დიდხანს გაგრძელდეს. დაწვრილებით შემდეგ მოვილპარაკებთ, როცა არჩევნების შედეგები საბოლოოთ გამოიოცკვივა.

**პარიზში** ყოველწლიურათ პატივის სცემენ კომუნარების ხსოვნას. წრეულს ამ მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღო 20,000-ღე სულმა. პირველ მაისის მაგალითით შეშინებულმა სოციალისტებმა წინდაწინვე გამართეს მოლაპარაკება მთავრობასთან. უკანასკნელმა ნება დართო მანიფესტაცია გაემართათ მხოლოდ სასაფლაოს კედლებს შუა, წითელი დროშებიც სასაფლაოს კედლებს არ უნდა გასცილებოდა. მანიფესტაციას წინ უძლოდენ ჟოზესი და ვალიანი, მათ შემდეგ მილიოდენ ცოცხლათ დარჩენილი კომუნარები. პოლიციამ მთელი თავისი ძალა თენზე დააყენა. მუშებს წესი არსად დაურღვევიათ. დღესასწაული უინცინდენტოთ დასრულდა.

## რუსეთის ცხოვრება.

**ახალი საბჭო მუშათა დაზღვევის შესახებ.** სახელმწიფო დუმის მუშათა კომისიამ მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც მუშათა დაზღვევის შესახებ არსდება საბჭო. საბჭო იქნება პეტერბურგში. მან უნდა გამოარკვიოს ყველა ის გათხოვნილი...

რომელიც მოყვება მუშათა დახდევის კანონის ცხოვრებაში გატარებას. საბჭოში იქნება 16 წარმომადგენელი სხვა-და სხვა სამინისტროებიდან, 2 წარმომადგენელი პეტერბურგის მუშათა საავთმყოფო კასებისგან და 2 წარმომადგენელი მწარმოებელთაგან.

**ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებანი.** რუსეთის სხვა მხარეებს არც ვიტყვის გუბერნიის ადმინისტრაციის ჩამორჩა. სენატის უკანასკნელმა რევიზიამ იქაც ბევრი ბოროტმოქმედება აღმოაჩინა. გუბერნატორის კანცელიარია არა რუსებს თურმე რუსობის მოწმობას აძლევდა, ამით კი ეს უკანასკნელნი აგირავებდნენ მიწებს და როცა გირაოს გადახდის ვადა მოაწვედა, მაშინ კანცელიარია წინააღმდეგ—არა რუსობის მოწმობას მისცემდა მათ; ხოლო რადგან დასავლეთ გუბერნიებში არა—რუსებს მიწების არც ყიდვა შეუძლიათ და არც დაგირავება, ამით გირაოს ფული მათ გადაუხდელი რჩებოდათ.

გარდა ამისა, მთელი გუბერნია მექრთამეობისა, დატყუებისა და სხვ. ასეთების მუხრუჭებში იღრჩეებოდა. ქრთამე იღებდნენ და ათავისუფლებდნენ ტუსალებს, უფრო ხშირათ კი იმისთვის იტერდნენ, რომ ფული გამოეტყუენათ. მექრთამეობა გამეფდა ყველგან. ადმინისტრაციის მოხელეებზე საჩივარს მსვლელობას არ აძლევდნენ. ფლანგავდნენ აუარებელ სახაზინო ფულებს და სხ.

**სიეზლის აკრძალვა.** 17 მაისს მოსკოვში შესდგა მოსკოვის წერა-კითხვის საზოგადოების საერთო კრება. კრებაზე ცნობა მოვიდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს ვერ უტყვია შესაძლებლათ მოზრდილთა განათლების შესახებ სრულიად რუსეთის სიეზლის ნების დართვა. სახალხო განათლების მინისტრის, შვარცის მიერ სიეზლის იდეა მოწონებული იყო.

**ახირებული ამბავი.** ხერსონის გუბერნიის, სოფელ პროგნოის გლეხებს საძოვარი ადგილები არა აქვთ. არის სახაზინო საძოვარი, მაგრამ ძალიან ძვირი ღირს. გაზაფხულზე გლეხებმა გადასწყვიტეს, აირჩიონ ორი რწმუნებული პეტერბურგს გასაგზავნათ და ითხოვონ საძოვარზე ფასის დაკლება. ტყის მცველმა, გაიგო თუ არა ეს ამბავი, ხელა მოაყვანა პოლიციარომელიმაც დააპირა რწმუნებულების დაჭრა. მაგრამ გლეხებმა ეს არ დაანებეს და ითხოვეს, აეხსნათ, თუ რაში არიან დამნაშავე; აქვე დაუმატეს, რომ თუ მაინცა და მაინც დაჭერაზეა საქმე, რწმუნებულებთან ერთათ ბარემ ჩვენც დავგიჟირეთო. საქმემ რომ ასეთი ხასიათი მიიღო, პოლიციამ დაანება გლეხებს თავი.

რწმუნებულები გამგზავრენ პეტერბურგს. მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და ურიცხვი პოლიციელთა რაზმი კვლავ მიადგა სოფელს. დაატუსაღეს 18 კაცი და გაგზავნეს კიდევ ციხეში. და ყველა ეს მხოლოდ იმისთვის, რომ გლეხებმა საძოვარზე ფასის დაკლება ითხოვეს!

**ტოლმაჩევი და ფინლიანდია.** ფინლიანდიის შესახებ ცნობილმა ტოლმაჩევამ აღიკაღლა ხმა. ადესელ „ქემმარტების“ შეერთებულ კრებაზე მან განაცხადა, რომ ფინლიანდიის, პოლონეთის და კავკასიის კითხვები მუდამ იქნება, სანამ თვით რუსებში იქნებიან „მოღალატენიო“. გენერალმა მოიწოდა რუსი მონარქისტები, შეერთდნენ და მხარა დაუჭირონ მთავრობას. შვარცხელთა კრებამ, რაღა სალაპარაკოა, მიიღო რეზოლიუცია ფინლიანდიის კანონ-პროექტის ცხოვრებაში საჩქაროთ გატარების შესახებ.

**რამდენათ უმატია მცხოვრებთა რიცხვს რუსეთში?** ეურნ. „რუსეთის წლიური“ ცნობით, 1897 წლიდან 1909 წლამდე რუსეთის მცხოვრებთა რიცხვი უმატნა 31,199,000 სულით; ხოლო 1909 წლ-ს პირველ იანვრამდე მცხოვრებთა მთელ რიცხვს შეადგენდა 160,025,200 სული ორივე სქესისა.

## კორესპონდენციები.

**ბ ა მ.** ნავთის მრეწველობა ბაქოში განიცდის ახალ „კრიზისს“. აზრებში ნავთის ფასი შესამჩნევათ დაეცა. დიდი

ხნის განმავლობაში ნავთი არ დაწეულა 18 კ. დაბლა, დღეს კი ფუთი 13—14 კან. ღირს. ზემოთ ჩვენ მოტყუვანობის ოფისებში ჩავსვით და ეს იმიტომ, რომ ჩვენ აქ-საქმე არა გვაქვს ჩვეულებრივ კრიზისთან, რომელიც გადაჭარბებული წარმოების შედეგია. ნავთის წარმოებამ ასეთი კრიზისი არ იტოვდა და, ვფიქრობთ, არც ეტადინება დიდი ხნის განმავლობაში. წინააღმდეგ, როგორც გამოირკვა სტატისტიკურ ბიუროს გამოკვლევით და დამტკიცდა უკანასკნელი წლების სინამდვილით, ნავთის, როგორც გამოთბოვლ სითხეს, თამაშთ შეუქმნია კონკურენცია გაუწიოს ქვა-ნახშირს და სხ., 20 კანბიტიც რომ იყოს ფასი.

„კრიზისს“ ნავთის მრეწველობაში აკეოებენ ნობელი და „მსუთი“ (როჩილდი), რომლებიც ნავთის თითქმის ერთათ შეიდეგელები და ექსპორტიორები არიან. ნავთის მრეწველობა ფაქტიურათ ამ ორი ფირმის მონაწილას წარმოადგენს და ისინიც ამ უკანასკნელს უშვრებიან, რაც კი მოეხსათათებათ.

ეს ხდება ისე უბრალოთ, ისე აშკარა-ცინიკურათ, რომ არავისთვის „საიდუმლოებას“ არ შეადგენს. ნავთის მრეწველობა საბჭოს მიერ ახლ-ახნ გამოცემულ მოკლე მიმოხილვაში, რომელიც ეხება კასულ ზამთარში ნავთის წარმოების მდგომარეობას, მოყვანილია სინტერესო ცნობები. ნოვიგაციის დაწეების წინ ნავთის ფასი ჩვეულებრივათ იწვეს. 1908 წ. იანვარში ნავთი ღირდა 24,99 კან., თებერვალში—26,22 კან., მარტში—27 კ.; 1909 წ. იანვარში—19,04, თებერვალში—21,14 კ., მარტში—22,36 კ., ხოლო მდგომარე 1910 წ. იანვარში ღირდა—18,31 კ., თებერვალში—18,08 კ., მარტში—16,65. აზრებში კი, როგორც შევნიშნეთ ზემოთ, ფასი დაეცა 13—14 კან. აღნიშნული „მიმოხილვა“ ამბობს, რომ ფასის „დაცემა იანვრის შემდეგ და განსაკუთრებით მარტში არ შეიძლება აისხნას წარმოების ზირობებით“ და უთითებს, რომ სტატისტიკა ამ შემთხვევაში მიადგა „კომერციული საიდუმლოების მიუწდომელ კედელს“. და მართლაც, ამხე შეტათ მსკერძოტეკველურათ დაზარაობის შემდეგი ფაქტი: 1910 წლის ზირველი 3 თვის განმავლობაში საზოგადოება „მსუთის“ ბაქოს ბირჟაზე იყიდა სულ 3 მილიონი ფუთი ნავთი, ხოლო მმ. ნობელის ამხანაგობას არაფერი არ უყიდა, მაშინ, როცა კასულ წელს ამავე თვეებში ორივე ფირმამ იყიდა 25 მილიონი ფუთი, ხოლო 1908 წ. — 39 მილიონი...

ყოველი ასეთი „კრიზისის“ დროს, რომელიც, ცხადია, მრავალ საშუალო და წვრილ ფირმებს ძლიან ძვირათ—და ზოგ მათგანს სიცოცხლეთაც—უჯდებათ,—ეს უკანასკნელნი ცდილობენ შეკავშირებას, რათა ამით წინააღმდეგობა გაუწიონ შეუბრადებელ ნავთის მეფეებს. დღეს კაცხარბული მუშაობას ახალი საზოგადოების შესადგენათ, სსხელწოდებით: „Экспортное общество по торговле нефтяными продуктами“. საქმის სთაკეში დგან ნობელისა და მსუთის შემდეგ უველახე მსხვილი ფირმა—„კასპიის ამხანაგობა“, რომელიც ეკუთვნის ცნობილ ძიქებს გუკასოვებს. საზოგადოებაში მონაწილეობას დებულობენ აგრეთვე შემდეგი ფირმები: „მ. მირზოევი და კომპ.“, „არამზიდი“, „ბოჩნი“, „ა. შელიჩევი“ და სხ. მათ წელიწადში ექსებათ დაახლოებით 300 მილ. ფუთი ნავთი (მთელ ბაქოში წლის განმავლობაში მოდის 500 მილ.) საზოგადოების წესდების გამომუშავებულ კომისიაში, სხვათა შორის, არჩეულა

თფილისელთა ძველი ნაწილი — ქ. ვერმიშევი, რომელმაც ახლა აქ, ბაქაში, მახუთის ბურჟუაზიის შკერდში ჰობაგა მშვიდი ნავთსადგური...

რა ხელფანური და გარდამავალიც არ უნდა იყოს ეველას ეს „კრიზისები“, იგი მაინც დიდ გავლენას ახდენს ნავთის წარმოებაში ჩამოყვანილ მუშათა მდგომარეობაზე. ოდესღაც ძველ-მოსილი და სპილენძის მახუთის არმა დღეს ისე დაუძღვრდა და შემცირდა, რომ მას არავითარ ანგარიშს არ უწევს ბურჟუაზია. „სახეურები“, რომელიც ბაქაში ხელფანის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენდა, თითქმის ეველას ფირმებში (ხანდისხან ხელფანის 40—50% უდრიდა), დღეს ეველას მისიზა; შტატებს ამცირებენ, 3 „სმენის“ ნაცვლათ ორ „სმენის“ აწესებენ, ე. ი., 8 საათის ნაცვლათ 12 საათის სამუშაო დღე შემოაქვთ; ართმევენ ბინას და ბინის ფულს, აუქმებენ ეველას საქარხნო და „ზრამისლების“ კომისიას და სხ. და სხ. ეველას ამასთან, მუშების მხრით ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლობა! მუშებს არ უდღესსწავლიათ ამ წელს ზირველი მისი... 1907 წ. და თითქმის 1908 წელსაც, როცა მთელ რუსეთში მუშათა მოძრაობა დამარცხებული იყო, მაინც საფიქრებელი იყო, რომ ბაქამდე არასოდეს არ მიადგებოდა რეაქციის ტალღა. მაგრამ დღეს რეაქციას თამაშათ აქვს ფრთა გაშლილი... კაპიტალისტებიც არ იჩენენ სისუსტეს მუშათა წინააღმდეგ მოქმედებაში... ეველას ეს კი უნაყოფოთ არ რჩება მუშებისთვის. მით უმეტეს ისეთი „კრიზისის“ დროს, როგორსაც განიცდის დღეს ნავთის წარმოება, რეპრესიები მუშათა წინააღმდეგ დებულბას განსაკუთრებულ მკაცრ ფორმებს.

სც.

### შინაური მიმოხილვა.

დღევანდელ ეკონომიურ პირობებში მუშათა კლასის მდგომარეობა ყოველგვან გაჭირვებულია. ყველა წარმოებათა დარგი მხოლოდ მისი ექსპლოატაციით საზრდობს, ყველგან მისი შრომის ნაყოფს სხვა ისაკუთრებს. მაგრამ ყველაზე აუტანელია ეს მდგომარეობა წვრილ წარმოებაში, განსაკუთრებით კი სახელოსნოებში, რომელნიც წარმოადგენენ საშუალო საუკუნოების ნაშთს დღევანდელ განვითარებულ კაპიტალის გვერდით. ეს მოვლენა მეტათ ადვილი ასახსნელია, და მის გასაგებათ საკმარისია მიაქციოთ ყურადღება ორ გარემოებას. პირველი არის თვით ტენიკის განუვითარებლობა წარმოების ამ დარგში, მეორე კიდევ საქმეში მოთავსებული კაპიტალისა და თვით წარმოების სიმცირე და განვითარებული კაპიტალის კონკურენცია უფროს ერთ შემთხვევაში. ყველა ეს პირობები ისეთ მდგომარეობას ქნის, რომ ეს პატარა მწარმოებელი მეტათ დიდ ექსპლოატაციას ეწევი: ყოველ ღონეს ხმარობს, რაც შეიძლება მეტი მიისაკუთროს მუშის შრომის ნაყოფი. მისთვის არ არსებობს არც ჰიგიენა, არც კულტურული მოთხოვნილებანი მუშისა, არც მუშაობის დროის განსაზღვრა, არ არის წმინდა ჰაერიც კი და ვისაც ერთხელ მაინც შეუვლია თვალი ასე-

თი წარმოებისთვის, მისთვის ყოველი ნათქვამი დღესავით ნათელი და აშკარაა. ასე არის საზოგადოთ ყველგან, და არც ჩვენი ქალაქის ხელოსნები განსხვავდებიან თავის სხვანათანამოძმეთაგან. აქაც იგივე ანტიპიგიენური პირობები, იგივე გადამეტებული შრომა, იგივე აღმზღელი საშვალე-ბანი: უთო, მაკრატელი, სახაზავი, ჯოხი და სხვა ასეთი სახელმძღვანელონი არის ჩვეულებრივი „პედაგოგიური“ საშუალება შეგირდების გასაწვრთნელათ, იგივე საზოგადო პირობებია ქარგლებისთვისაც იმ განსხვავებით, რომ ესენი უკვე დამოწაფებული არიან და მათზე ვერ ხმარობენ ისეთ პედაგოგიურ საშუალებათ, რომელიც მათ ასაკს აღარ „შეეფერება“ და ჯამაგირიც ვძლევათ, რასაც მოკლებული არიან შეგირდები.

ასეთი იყო მათი მდგომარეობა, რომელიც ცოტა-ოდნათ შეირყა 1904 და 1905 წელს. ამ სახელოსნოებში მომუშავე პროლეტარებამდინაც მიადწია მუშათა კლასის გამოთხოვლობამ; ამ დაბეჩავებულმა ელემენტმაც წამოაყენა მოწინავე მუშების მოთხოვნები და გაიტანა კიდევ თავისი, მოიპოვა შედარებით აღამიანური არსებობის პირობები, სამწუხაროთ მხოლოდ დროებით. როგორც კი იბრუნა პირი სახალხო მოძრაობის ზღვის ტალღებმა, აქაც შეუღდგენ დამჭირავებლნი ძველი წესების აღდგენას, და დღეს თითქმის ერთი სახელოსნოც არ მოიძებნება ისეთი, რომ იქ 1905 და 1906 წლის პირობები მოქმედებდეს. აქაც ლიკვიდაცია მოხდა.

მხოლოდ, სახალხო მოძრაობის დროებითი დამარცხება ერთბაშათ არც დამჭირავებლებისთვის გამორკვეულია და არც სხვა დაინტერესებული ელემენტებისთვის. ამიტომ მისი გავლენა 1907 წელშიც გადმოვიდა და სწორეთ ამ დროს შეუღდა თფილისის ქალაქის მმართველობა ნორმალური დასვენების წესების შემოღებას. „ხაზინები“ ჯერ კიდევ ძველ შიშს განიცდიდენ და შერეულ კომისიას თითქმის აღარც ეკარებოდენ. მიზეზი უბრალო იყო: მისვლა და დადასტურება იმისა, რასაც მუშები ითხოვდენ ამ სფეროში, მათთვის შეუძლებელი იყო, ეს თავისივე ხელით თავის მოკვლა იქნებოდა; წინააღმდეგ ლაპარაკიც მოუხერხებელი იყო, რადგან 1905 წელი ჯერ კიდევ თვალწინ ეღვათ და ვინ იცოდა კიდევ როგორ შეტრიალდებოდა საქმე; მათმა განზე გადგომამ ხელი შეუწყო რიგიანი, მუშებისთვის ხელსაყრელი წესების გამო-მუშავებას და დღეს აღმინისტრაციის მიერ დამტკიცებული წესები არა ურიგოა. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ მათში მიღებულია რვა საათის სამუშაო დღე (მუშაობა გრძელდება რვა საათი) და ესეც დიდი შენაძენია, თუ შესძლეს მუშებმა მისი დაცვა და გატარება ცხოვრებაში. ეს სათულობა წესების შემუშავების დროსაც ესმოდათ მუშებს, რადგან ისინი ყველაზე უკეთ იცნობენ დამჭირავებლების მადს, მათ ოსტატობას ასეთ წესების გვერდის შევლაში. იციან, რომ მარტო წესების ჩამოწერა არ კმარა მათი განხორციელებისათვის და ამიტომ მოითხოვებს სახელოსნო ინსპექციის შემოღება. ამ ინსპექციამ უნდა აღეწოს თვალ-ყური წესების ასრულებას თუ დარღვევას და მიიღოს დამრღვევთა წინააღმდეგ ზომები. პრინციპია-

ლურათ მუშების ეს მოთხოვნა მიღებულ იქნა ქალაქის თვითმართველობის მიერ, მაგრამ დღეოდის არაფერი გაუკეთებიათ მის სისრულეში მოსაყვანათ. უამისოთ კი წესების სისრულეში მოყვანას ბევრი დაბრკოლება შეხვდება და დიდი და სანძიმო ბრძოლა მოგლის სახელოსნოებში მომუშავეთა მოწინავე ელემენტებს: ამათომ აუცილებელი საჭიროა მოვადგონოთ ქალაქს თავისი პრინციპიალური გადაწყვეტილება და მოვითხოვოთ, დღესვე შეუდგეს იგი სახელოსნო ინსპექციის განხორციელების საქმეს. უამისოთ ახალი წესები, რომელნიც უკვე რამდენიმე კვირაა, დამტკიცებულა, ცარიელ სიტყვათ დარჩება. და მართლაც, დღეს უკვე გაისმის საჩივარი, რომ „ხაზინები“ არავითარ ანგარიშს არ უწევენ „წესებს“: იქ რვა საათის სამუშაო დღე სწერია, ისინი კი 12—13 საათს ამუშავენ.

ამ საჩივრების გამო ქალაქის გამგეობას, როგორც დღიური გაზეთები გადმოგვცემენ, სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებისთვის მიუხედავად საქმის გამოკვლევა, მაგრამ ეს სულ უმოქმედებას უდრის, რადგან ქალაქის აგენტებს სხვა პირდაპირი მოვალეობებიც ბევრი აწევთ და ისიც ვერ შეუძრულებიათ. ამ წესების დაცვა მათთვის სასხვათაშორისო საქმე იქნება, მათ პირდაპირ მოვალეობის გარეშე დაკისრებული და ამიტომ შეუძლებელია; რაიმე შედეგი მოიტანოს. ამ საქმისთვის აუცილებლათ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება. ეგრე რომ არ იყოს, კანონის ძალით, საზოგადო პოლიციაც მოვალეა ყური უგდოს „წესების“ დაცვას, მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რამდენათ დაინტერესდება იგი ამ საკითხით!

თვით მომავალ ინსპექციის შესახებ, გარდა იმისა, რომ იგი იქნება ქალაქის გამგეობის ხელქვეითი ორგანო, ჯერ არაფერია გამოკვლეული და ამიტომ კათხვის წაპოყენებისთანავე საჭიროა მუშებმა ინსპექციის ორგანიზაციის დეტალებიც წარუდგინონ ქალაქს. ამ მხრით პირველ-ყოველი საჭიროა ინსპექტორების არჩევაში მონაწილეობა ქონდეთ თვით მუშებს, თორემ არც განსაკუთრებული თანამდებობის პირთა დანიშვნა უზრუნველყოფს საქმეს. ეს არის მთავარი მოთხოვნა და ამით ვაპავებთ დღეს. დანარჩენსა და დეტალებს კი ახლო მომავალში დავუბრუნდებით.

ნარა.

# ჩემი დღიური.

(იხ. „სხივა“ № 13).

## 3. ეს წერილი მიერთვას ჩემს აჩხანავს საკუთარ ხელში.

На минуту позабудемся,  
Въ очарованьи красныхъ вымысловъ.

დიდი ხრიკით მე ფერშალს გამოვართვი ერთი პაწია სტაქანი სპირტი, გავურთიე იმაში წყალი და ამნაირათ, გეახელი არაყი. აი, ასეთი ბიჭი ვარ მე, ილიკო იაშვილი. დავლიე არაყი და გავმხიარულდი. ჩამოდექით,


გზა მიეცით ყმაწვილს, მოდის სოციალ-დემოკრატი ილიკო იაშვილი, ტუსალი! შერცხვეს ბიჭი, თუ ვისმე შეუშინდეს—აი, რა გაბედული ბიჭია ილიკო იაშვილი, სოციალდემოკრატი! არავისი არ ეშინია მას და სატუსალოს კანონებს აფურთხებს ის. აბა, სცადონ ერთი, შეედავონ, უთხრან, ნუ ყვირიო. აბა, მოუვიდეს ვინმე და ფეხი დაუბაკუნოს მას!.. ილიკო იაშვილს დაუგდეთ ყური ილიკო იაშვილი მღერის ინტერნაციონალს...

— რაო, რაო? ნუ ყვირი? Пошли Вы ко всемъ чертямъ!.. ჩაძვერით, გაქარწყლით! მე გახლავარ ბიჭი, მე გახლავარ ილიკო იაშვილი, სოციალ-დემოკრატი და მე ვმღერი პროლეტარიატას საერთაშორისო ჰიმნს! ვაშა! ვაშა! დაჰკარით ტაში! დაჰკარით ტაში, ამხანაგებო!

მოიცათ ცოტა. არ იქნება მშიერი და არც ზედმიწევნითა ჭამით ამოხთება ადამიანს სული... ხა, ხა, ხა! ერთხელ მოსკოვში ერთი ვაჭარი გასკდა მუცელზე. დაენიზლავა ვილაცას—ამდენსა და ამდენს ბლინებს შეეჭამო, შეჭამა, მაგრამ გასკდა კი მუცელზე ოჯახ დატყეული! ესე იგრ, გააკეთა კლუბში ქიმიური ობსტრუქცია, აამყრალა იქაურობა. ახლა ქუჩაში პროსტიტუტები დადიან და ხორციო, საკუთარი ხორციო ვაჭრობენ, ახლა უმუშევრები უჭმელობით კვდებიან, ქურდობას იწყებენ და აქ მოდიან, სატუსალოში. ახლა მუშები შრომობენ და ნაშრომს სხვები ართმევენ, ისინი, ვისაც არ უმუშავენა. ახლა უზარმაზარა სახლებია და დიდი უმრავლესობა კი ბინძურ, ნოტიო კონახებში ყრია. ახლა, ახლა იცით თქვენ რა ხდება? ერთმა მამამ თავისი ძვირფასი შვილი რომ გააძღოს, ამისთვის მეორე მამას ართევეს საქმელსა და სასმელს და იმის შვილი შიმშილთ კვდება—აი, როგორია დღევანდელი ცხოვრება. მაგრამ მოიცათ, მოიცათ, მოვდივართ თქვენზე, მოვდივართ და აბა დამაგრდით.

მოიცათ! რას მკიდებთ ხელს, ხელები შორს... არ გაბედოთ ხელის მოკიდება! მოიცათ თქვენ მხეცებო! თქვენ მხეცებო! თქვენ მხეცებო! ესეც შენ, მოგხვთა? არ მოუკარო, მე ვარ ილიკო იაშვილი, სოციალდემოკრატი, თქვენი დაუძინებელი მტერი!.. კარგი, შემკარით, შემკარით! აი, მასე ხომ, მასე ხომ! ჰო, გამათრიეთ, გამათრიეთ!

ილიკო იაშვილი იმყოფება კარცერში, სადაც ისე ბნელა, როგორც რეაქციონერის თავში, როგორც სამარეში. მერმე რა ვჯყოთ, დეე იყოს ილიკო იაშვილი კარცერში, ის მაინც სოციალდემოკრატი და აინუნშიც არ აგდებს კარცერს. ვის აშინებენ კარცერით—ილიკო იაშვილს? ასეთები გამოუცდია მას, რომ ამის გადატანა გაუჭირდეს!? ერთხელ ილიკო იაშვილს სოფელში ღამით თავს დაეცენ კაზაკები. შეკრეს მთელი სოფელი, მაგრამ ილიკომ გაასწრო ტყეში. შემოდგომა იყო, ნოემბერი. სუსხიანი, ცივი ღამე იყო. და ეს ღამე ილიკომ გადაათენა ტყეში. გამთენიის ხანს იმას მიეძინა კიდევ ჯირკის ძირში და ნახა სიზმარი, რომ წვეს ვითომ თბილ ოთახში, სველ ბუმბულში, მაგრამ საბანი გადაძრობია და ცოტათი სცივა. სურს ილიკო იაშვილს



# წერილი თეირანიდან

## II

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

დაიხუროს ისევ საბანი, გაეხვიოს შიგ, ჩაყოს თავი ბალიშში, მჭიდროთ, მაგრათ შემოიხვიოს სუფთა, თფილი საბანი, ერთი გათბეს რჯულზე. და გასწია ილიკომ ხელი საბნის ასაღებათ, მაგრამ ტალახში ჰკრა ხელი. გამოვლვიდა ალიკოს ჯირკის ძირას და იცით რა ქნა? გაიცი-ნა ილიკო იაშვილმა—შერცხვეს ვინც უკეთესათ იძინოს და უკეთესი სიზმარი ნახოსო,—აი, რა თქვა ილიკომ მაშინ, ადგა და ხტუნაობა დაიწყო... ჩვიდმეტი წლის იყო ილიკო იაშვილი, როცა პირველათ სატუსალო ნახა—რუსეთში. ხა, ხა, ხა! იცით ერთხელ რა ღამე გაატარა მან რუსეთში? ვერ გადაიხადა ილიკომ ბინის ქირა ერთხელ და აი, ერთ საღამოს დიასახლისმა კარში გაუძახა მას. იანვრის ღამის ოცდა თხუთმეტ გრადუსიანი ყინვა სასტუკობდა ქუჩაში. და აი, ასეთ ღამეში ილიკო დარჩა ქუჩაში. დადის ის ქუჩიდან ქუჩაში, მაგრამ გაუქირვა მას ყინვამ საქმე. კბილები შეეკრა, მისდაუნებურათ თვალებიდან მოდის ცრემლი და იქვე სახეზე აყინავს. ძნელია, ძნელი ასეთ ღამეში გარეთ დარჩენა, მოგშლის კაცს. მაგრამ ილიკომ იხმარა ხერხი. მან შეალო კარები და შიგ სასტუმროში შევიდა. უჰ, დედილო, რა კარგია ახლა ამ კუთხეში მიწოლა და ძვლების გათბობა, რა თბილა აქ!

ილიკოს სადათ, მაგრამ სუფთათ აცვია და ამიტომ შვეიცარი ზრდილობიანათ ეკითხება მას:

— ვინ გნებავთ!

არ ჩქარის ილიკო პასუხის მიცემას, ის იხედება დაფისკენ, რომელზედაც სტუმრების გვარებია ჩამოწერილი—დროს იგებს, თან კი ცდილობს კიდევ, გააგრძელოს აქ ყოფნა.

— თქვენ ვინ გნებავთ?—უმეორებს კითხვას შვეიცარი.

— მითხარით, რომელ ნომერშია გაჩერებული სოკოლოვი?

— ასეთი აქ არავინ არის..

— მაშ სასტუმრო შემეცვალა ვითომ? ეს ხომ „ბელვიუ“ არის?.. არა, აქ უნდა იყოს...

— არა, არ არის! შეიძლება მოვიდეს, ერთი მატარებელი მოდის ამელამ თორმეტ საათზე...

— საიდან მოდის?

— მოსკოვიდან.

— არა, ის მოსული იქნება—აღბათ „გრანდ ოტელში“ გაჩერდა. ხომ არ შეგიძლიათ, მათხოვით ტელეფონი, მეზარება იქ წასვლა და ისიც, ვინ იცის, იქნება თუ არა, იქ.

— ინებეთ! აი, აქ არის ტელეფონი.

ტრ-რ-რ-რ... აკაპასდა ტელეფონი.

სპ. მცირაშვილი

(ვაგრძელება იქნება).

ამ რამდენიმე ხნის წინათ აქ გამოვიდა რეაქციონურ კლერიკალური გაზეთი „ვაქტი“. გაზეთს რედაქტორობს ვინმე ქესმაი, ყოფილი მოლა, რომელმაც თეირანის აღების დროს უარი განაცხადა ჩალმის ტრებაზე და თავი სოციალისტათ და რევოლიუციონერთათ გამოაცხადა.

ეს „სოციალისტი“ რედაქტორი ამას წინათ თავს დაესხა პროგრესულ მიმართულების გაზეთს—„ირან-ნოვ“-ს მხოლოდ იმისთვის, რომ ეს უკანასკნელი თანაგრძობით შეხვდა მუსულმან ქალების მიერ გამართულ სეირნობას, რასაც აზრათ ქონდა შინაური სესხისთვის ხელის შეწყობა.


ბ-ნ ქესმაის პროვოკატორობა იქამდე მივიდა, რომ მან ლანძღვა-გინების მთელი არსენალი დაუშინა აღნიშნულ გაზეთს სახაზინო განცხადების მოთავსებისთვის არაყზე ბანდეროლის გადაკრის შესახებ. (აქამდე არაყი ყველგან უბანდეროლოთ იყიდებოდა).

აი, ეს გაზეთი გაიხადა შინაგან საქმეთა და პრემიერ-მინისტრმა სეპეხდარმა თავის ორგანოთ.

2 მაისს ამ გაზეთმა გამოუშვა სეპეხდარის განცხადება თეირანის სასამართლოს 15 დღით მოქმედების შეჩერების შესახებ, ვითომ მის რეორგანიზაციის მოსახდენათ. ამ საგმირო საქმას მოხდენის დღესვე სეპეხდარმა კატეგორიული განცხადება შეიტანა სამსახურიდან გადადგომის შესახებ. ამავე დროს ქალაქში გავრცელდა ხმები სეპეხდარის მახლობელ მეგობრის, ცნობილ მუსტიედის სეიდ-აბდულას მიერ არეულობის მომზადების შესახებ.

საქმე იმაშია, რომ სეპეხდარს არ მოსწონს თეირანის სასამართლოს შედგენილობა, რომელშიც უფრო კეთილსინდისიერი პირები არიან. ეს სასამართლო ხელს არ აძლევს სეიდ-აბდულას, ვინაიდან მას აღარ შეუძლია წინანდებურათ ჩაერიოს სასამართლოს საქმეებში; მაშინ, „ნეტარ დროში“ კი შარიატის თანახმად სასამართლოს მთელ საქმეებს ის აწარმოებდა. ხოლო ახლა სასამართლოს არსებობამ შესამჩნევათ შეამცირა მისი შემოსავალი. რაც შეეხება სეპეხდარს, მას არ მოსწონს ეს სასამართლო იმიტომ, რომ სეიდ-აბდულას უუფლებობა გავლენას ახდენს მის პირად ძალა-უფლებაზეც. საქმე იმაშია, რომ მას არ შეუძლია გამოიყენოს სეიდ-აბდულას გავლენა, რათა თავის პირად სარგებლობისათვის აამხედროს ბნელი მასსა, როგორც ამას შერებოდენ წინანდელი მინისტრები.

რასაკვირველია, გარეშე ქვეყნის ხელი აქაც არ არის უმოქმედოთ. მაგრამ იუსტიციის სამინისტროს მოხელეებისა და კონსტიტუციონალისტების მიერ მიღებულ ზომების წყალობით მოსალოდნელი არეულობა ჩქარა იქნა გაგებული.



იუსტიციის სამინისტროს მოხელეები მიხვდნენ, თუ რა შედეგი მოყვებოდა სასამართლოს დახურვას და ამიტომ საქმეების შეჩერებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს და კიდევ განაგრძეს თავისი მუშაობა. რაც შეეხება თვით იუსტიციის მინისტრს, მან განაცხადა, რომ ამ საქმის შესახებ არაფერი არ იცის. მაშინ მოხელეებმა მიმართეს მეჯლისს და რეგენტს და მიუთითეს სასამართლოს დახურვის დამლუპველ გავლენაზე.

დღეს აპორჩეულია ხუთი კაცისგან შემდგარი კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ამ საქმის გამოძიება.

სეპტემბერმა, დაინახა თუ არა, რომ თავის პლანი ჩაეფუშა, სამსახურიდან გადადგომის განცხადება უკანვე წაიღო... მე მინდოდა ჩამომეთვალა თქვენთვის, თუ რამდენჯერ შეიტანა სეპტემბერმა ასეთი განცხადება, მაგრამ ვერ შევძელი.

კითხვა შინაური სესხის შესახებ მეჯლისმა პირველი წაკითხვის შემდეგ გადაეცა კომისიას.

იუსტიციის მინისტრმა წარუდგინა მეჯლისს შემდეგი პირობები:

1) თუ არ დამტკიცდება სასამართლოს მოხელეების დანაშაულობა, მაშინ დაისჯონ ის პირები, რომლებიც ამ მოხელეთა წინააღმდეგ პრავეაკაციას ეწევიან;

2) მოწონებულ იქნას მოჩივნებისაგან საგერბო გადასახადის აღება (რომლის წინააღმდეგაც ხალხს ამხედრებენ სეიდ-აბდულა და სხვა მოღეპი), ხოლო თუ ეს უარყოფილი იქნება, მაშინ გამოინახოს სხვა წყარო სასამართლოს ხარჯების დასაფარავათ.

3) მოკლე ხანში მსვლელობა მიეცეს იმ პირთა საქმეებს, რომელთაც ყალბი დოკუმენტების კეთება ბრალდებათ, ან და სულ მოისპოს მათი საქმე.

თუ ეს პირობები მიღებული არ იქნება, მაშინ მინისტრი გადადგომას აპირებს.

უკანასკნელათ უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ გაზეთების დეპეშები თეირანში შიმშილობის შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ეს კაბინეტის კორესპონდენტები, რომლებმაც ადგილობრივი არც ენა იციან და არც ზნე-ჩვეულებებს იცნობენ, თავიანთ ოთახებში მოკრავენ თუ არა ყურს რაიმე ამბავს, გარეთაც არ გამოდიან იმის შესამოწმებლათ, ისე ტენდენციურათ გაბერავენ ხოლომე და გზავნიან. მართალია, 2—3 დღეს თეირანში იყო პურის სიმცირე, მაგრამ არაფითარი შიმშილობა არ ყოფილა. დღეს პური კვლავ უხვათ არის.

თეირანი, 7 მაისი.

მამუღ-ალი რასულ-ბადი.

\* \*

წყველიადით მოცულ ტყეში ვიღოდი, სით წავესულიყავ თვით არ ვიცოდი, არ ჩნდა გზა, კვალი. ნარი, ეკალი

მჩხვლეტდა, მკაწრავდა... სისხლი მღიოდა; კვენესდი, გლოვის ხმა ცათ აღიოდა! ირგვლივ საზარი სიცილ-ხარხარი

ისმოდა ავ-სულთ. ბუ გაკიოდა და გესლიანი გველი წიოდა.

შიშისგან ვთროთლი და ვიძახოდი:

„სად არის, სადა, ღმერთი სიმართლის, ბნელის გამქრობი, მფენი სინათლის?!“

მაგრამ პასუხი, ცით მონაქუხი,

საუბედუროთ, არსით ისმოდა და გული უშრეტ ცეცხლით იწოდა.

იმედს ვკარგავდი, სულსა ვლაფავდი,

სამარის კარზე ვიყავ მისული.

წყეულიმც იყოს ის წამი, კრული!

მაგრამ იელვა

და ასტყდა ლელვა...

ნათელმა სხივმა გასქრა წყვილიადი, მთისა მწვერვალზე, ვით განთიადი,

აენთო ლამპრათ

და მყის ათასფრათ

ააელვარა მიდამო არე.

და დავინახე თვალზე-ვლვარე

ჩემი ოცნება—

ქეშმარიტება.

და მეც გავცოცხლდი! წინ გავეშურე,

ძალი და ღონე არ დავიშურე,

რომ ჩემს ღვთაებას,

ჩემს ნეტარებას

გადავეხვიო, ჩავეკრა გულში

და მოვკვდე მასთან, მის სიყვარულში!

ვ. რუსაძე

## აქონოგიური ცხოვრების განვითარება.

### VI

პირველ-ყოფილ შრომის განაწილებამ მამა-კაცს ნადირობა-მეთევზეობის გარდა ცხოველების მოვლა-მოშენებაც არგუნა. ექვს გარეშეა, მეტათ შემცდარია იმ მეცნიერების აზრი, რომლებიც ფაქრობენ, ვითომ ცხოველების მოშენება იმ თავიდანვე მეურნეობიდან განუყრელ-განუშორებელი იყო. რასაკვირველია, ეს დღეს უერთიერთმანეთოთ წარმოუდგენელია, უერთი-ერთმანეთოთ მოუხერხებელია, მაგრამ სულ ასე არ ყოფილა. მათი ერთათ წარმოება, მათი ერთათ დაკავშირება უფრო განვითარებულ ცხოვრების შედეგია. დღესაც აფრიკის ველურ ხალხებში ცხოველების მოშენება მეურნეობიდან გამოყოფილია, იგი მამა-კაცების მონაპოლიას შეადგენს, მამა-კაცების აუცილებელი კუთვნილებაა, აქ დედა-კაცები სულ

არ ერევიან, ამათ საქმეს უმთავრესათ მეურნეობა, ე. ი. მცენარეულობის და ხორბლეულობის მოყვანა შეადგენს. მთელ ამ ფაქტის საიდუმლოების გაგება მხოლოდ მაშინ შეიძლება როცა ჩვენ მოკლეთ მაინც განვიხილავთ ისტორიულ მიმდინარეობას, რომელმაც მამა-კაცი ცხოველების მოშენებამდე მიიყვანა. მეცნიერების შეხედულობით პირველ-ყოფილმა ადამიანმა პირველათ ესა თუ ის ცხოველი ეკონომიური მოსაზრებით არ მოაშინაურა, მათ მოშენების დროს ეკონომიური პრინციპით არ ხელმძღვანელობდა; აშინაურებდა მხოლოდ ისეთ ცხოველებს, რომლებსაც მისთვის ჩვეულებრივ გართობა და სიამოვნების მნიშვნელობა ქონიათ. პირველათ ოჯახში მოშინაურებული ცხოველი არ ყოფილა სამუშაო ცხოველი, იგი უმთავრესათ ადამიანის ფუფუნების მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, ადამიანის ფუფუნებითი სურვილებს ემსახურებოდა. კაცი ჩვეულებრივ ნადირობდა და ამ ნადირობის დროს შემთხვევა ქონდა დაჭრილი ცხოველები, განსაკუთრებით კი მტაცებლები, ცოცხალი და ეჭირა და შინ ოჯახში მოსაშინაურებლათ მოეყვანა, როგორც აყო მაგ. ძაღლი, რომელიც შემდეგში თანდათან მისი განუყრელი თანამგზავრი ხდება. რასაკვირველია, პრიმიტიულ ხალხებში სხვა მრავალ ჯიშის მოშინაურებულ ცხოველებსაც შევხვდებით, როგორც მაგ. ცხვარს, თხას, ვირს, ცხენს, ხარს, კამეჩს, ღორს, ქათამს და სხვ. ყველა ამათ, იმ დროს, როგორც ვამბობდით, არ ქონიათ თანამედროვე მნიშვნელობა; არ ამუშავებდენ ოჯახებში, ვერ იყენებდენ მეურნეობისათვის. მოშინაურებული ცხოველები უმთავრესათ ოჯახს რძეს, ხორცს, ტყავს და მოსართავ ძვლებს აძლევდენ სხვაგვარი მნიშვნელობა-დანაშნულება მათ პრიმიტიულ ადამიანის ოჯახისთვის არ ქონდათ.

გადავიდეთ ახლა ადამიანის პირველ-ყოფილ სახელოსნო წარმოების ფორმაზე, შევეხოთ მის წარმოების წესს. პირველ-ყოფილ ხალხების მთელი ოჯახების წარმოება კარჩაკეტილ ოჯახურ მეურნეობაზე არის დაყრდნობილი; თვითთელი მწარმოებელი ერთეული ამუშავებს იმდენს, რაც მისი ოჯახის წევრებისთვის საჭიროა; თვითთელი ოჯახი თვითონ, სხვის დაუხმარებლათ იკმაყოფილებდა მთელ თავის მოთხოვნილებას. ამ გარემოებამ-კი წარმოშობა მამა-კაცსა და დედა-კაცს შორის ოჯახური შრომის განაწილება. თვითთელი მწარმოებელი ოჯახი, თვითონ არის, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ, თვითონ ყავს საკუთარი ფუნსციონალის მკერავი, ტანისამოსის გამომჭრელი, დაბახი, ღურგალი, საწარმოო იარაღების დამზადებელი, მონადირე, მეურნე, მექურტლე და მღებავი. თუმცა ძველიდანვე შრომის განაწილება ჩვენ მიერ დასახელებულ თვითთელ დამოუკიდებელ კარჩაკეტილ ოჯახებს შორის სწარმოებდა; თვითთელი აემის ოჯახი, თვითთელი ოჯახის წევრი, ბუნებრივ მიზეზების გამო, ერთ რომელსამე ხელობაში, ერთ რომელსამე დარგში უფრო უკეთესათ, უფრო კარგათ ხელოვნდებოდა, ვარჯიშდებოდა და დიდი ნაწილი თავისუფალ დროსი ამაზე იხარჯებოდა. ასეთ პირობებში იმალება ერთგვარი მოწოდება ამა თუ

იმ ხელობაზე, ამა თუ იმ წარმოებაზე; ისახება სხვა და ხელობა, ხელობათა სხვა-და-სხვა კატეგორიებით დანაწილება. მართალია, პირველ ხანებში მას არ ქონია თანამედროვე პროფესიების ხასიათი, მაგრამ შემდეგში, თანდათან ვითარდებოდა დამოუკიდებელი, ხელოსნური პროფესიები, ხელოსანთა სხვა-და-სხვა ჯგუფები. დაბალ კულტურის ხალხებში ადამიანი ძალიან ხშირათ შეხვდებოდა შედარებით მეტათ განვითარებულ ხელოსნურ ღიფერენციას; ხელოსნობის სხვა-და-სხვა პროფესიებათ დანაწილებას. მაგ, შუაგულ აფრიკაში, საცა ნახევრათ ველური თემები სცხოვრობენ, არიან ღურგლები, მკედლები, მუდაბახები, ფეიქრები და სხვ. მეცნიერი ფიტცკორი „ცეცხლის მიწაზე“ მცხოვრებ ველურებზე მოგვითხრობს, რომ იქ თვითთელი მცხოვრები განსაკუთრებულ ხელობას, განსაკუთრებულ საქმეს სწავლობს: ერთი ჯირითის სპეციალისტია, მეორე კაკანათის, მესამე ბატის და ამწვენელი; და თვითთელი ამათგანი, ამბობს იგივე მოგზაური, ისე კარგათ არიან დახელოვნებული, რომ მათი ნაწარმოები აშკარათ გაუმჯობესებულ ნაწარმოების ხასიათთვისებას ატარებსო.

გამუდმებულმა შრომის სპეციალიზაციამ, შრომის განაწილებამ უკვე პრიმიტიულ ხალხებშივე წარმოშობა თითების და ხელების დახელოვნება, თითების და ხელების გაფარჯიშება, რომელსაც სრულიათ მოელოდება თანამედროვე კულტურული ადამიანი, ხელოსნურ დახელოვნებას, შრომაში დავარჯიშებას, მათ წარმოებაში თითქმის პირველი ალაგი უკავია. მრავალი ისტორიული ნაშთებია, მრავალი ძველი დროის დოკუმენტებია, რომლებიც აშკარათ ღაღადებენ მწარმოებლის დახელოვნებას, მწარმოებლის ხელოვნურ ნიჭს. ასეთია მაგ. ველურ ხალხების ხის ნამუშევარები, ხიდან ამოჭრილი სახეები, რომლითაც ველურები თავიანთ ღმერთებს და მთავრებს ხატავენ. არა ნაკლებ საინტერესოა თიხეულობის წარმოება, რომლის ხელოსანი უმთავრესათ დედა-კაცი იყო. თიხეულობის ხელოსნობა ზოგიერთა ველურ ხალხებში იქამდის არის განვითარებული, რომ მათი ნაწარმოები ბევრით არ განსხვავდება თანამედროვე ფაბრიკულ ნაწარმოებიდან.

ხელოსნობის პროფესიებათ სპეციალიზაციასთან ერთათ, რომელიც თვით თემებში არსებობდა, წარმოიშვა ერთნაირი შრომის განაწილება სოფლებსა და ჯგუფებს შორის. იბადება ადგილობრივი და ჯგუფური ხელოსნობა. ბისერი თავის წიგნში მოგვითხრობს, რომ გუანელებში, თითქმის თვითთელ ტომს, თვითთელ ნათესაობას აქვს თავისი განსაკუთრებული ხელობა. კონგოს სოფლები, ამბობს იგივე ბიუხერი, ჯგუფ-ჯგუფათ არიან დასახლებულები, ისინი ერთი-მეორის დახმარებით ცხოვრობენ, ერთი ჯგუფის წარმოება თითქმის მეორე ჯგუფის წარმოების შემასებაა. თვითთელ ჯგუფს აქვს თავისი განსაკუთრებული დამახასიათებელი სპეციალური მუშაობა, სპეციალური ხელობა: ერთი თევზაობას მისდევს, მეორე პალმიდან ღვინოს ხდის, მესამე ვაჭრობას აწარმოებს; არც ერთ მათგანს, რასაკვირველია, არ შეუძლია თავიანთ

მიერ არჩეულ ხელობას გადასცდეს და სხვა დაამუშაოს, ისე, რომ მან ზარალი და ვნება არ მოუტანოს მეორეს.

შრომის განაწილებასთან ერთად განვითარდა ეგრეთ წოდებული შრომის შეერთება, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ მრავალი კორპორაციები, ანუ მრავალი ჯგუფები ერთ საერთო მიზნისათვის ერთდებიან, რომ საქმე ადვილათ და მალე შეასრულონ. მაგ., რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაში უკვე დიდი ხნიდან ცნობილია სასაფლო არტელი, საცა მრავალი ოჯახები შეერთებულა ერთ რომელიმე საქმის გასაკეთებლათ, მერე ეს ოჯახები საერთო ნაყოფს ურთიერთ შორის ანაწილებენ. ასეთსა-სავე შრომის შეერთებას შევხვდებით დღესაც აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც ნადათ იწოდება. ნადით მუშაობა ჩვენში დიდი ხნის საქმეა, იგი ძველათ მეტათ გავრცელებული მოვლენა იყო, დღესაც კახეთის ზოგიერთა სოფლებში აქა-იქ შეხვდებით. სოფლის რამდენიმე ოჯახი ერთდებიან და ჯერ-ჯერობით ხან ერთს უმკიან ყანას და ხან მეორეს, ვიდრე თვითეულ შეერთებულ ოჯახის მოსავალს სრულიათ არ მომკიან. ნადით მუშაობა, ჩვეულებრივ უფრო ზაფხულობით სწარმოებს, როცა რასაკვირველია სამეურნეო მოსავლის გაკეთება გადადებს ველარ იტანს, საქმის მოცდა აღარ შეიძლება. როგორც ვხედავთ შრომის განაწილებას მხარდამხარ გამოყოფილია შრომის შეერთებაცა, რომელიც დიდათ გავრცელებულია კულტურით დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებში.

ჩვენ მიერ აწერილ ხანაში ეკონომიური მიზნით მიმოსვლა, ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლა მეტათ მკრთალათ და განუვითარებლათ სწარმოებს. როგორც ზევითაც დენიშნეთ, თითეული ეკონომიური ერთეული მთელ თავის მოთხოვნილებას თავის საკუთარ ძალ-ღონით იკმაყოფილებდა; პრიმიტიულია შრომის განაწილებამ, პირველ ხანაში მაინც, ვერ წარმოშვა პროფესიონალური ხელოსნები, რომლებიც თავიანთ ზედმეტ ნაწარმოებსა ბაზარზე გაიტანდენ გასასყიდათ. ამ სახით ხელოსნური წარმოება მეტათ სუსტი და უმნიშვნელო იყო, იგი არ იყო ცხოვრების ჩვეულებრივი მოვლენა, დიდ როლს არ თამაშობდა იმ დროის პრიმიტიულ ხალხთა ურთიერთა ცხოვრებაში. პირველ-ყოფილ ადამიანისთვის ყაღვა-გაყიდვა, რომელიც არსებითი მხარეა. ყოველ გვარ ვაჭრობის წარმოუდგენელი მცნება იყო. თუ მაინცა და მაინც ზედმეტი ნაწარმოები მოეპოვებოდა იგი, პირდაპირ სხვა ნაწარმოებზე ცვლიდა; მისთვის მოგება, „ზედმეტი ღირებულება“, ზედმეტი სარგებლობა სრულიათ არ არსებობდა. მას არ ქონებია საგნის ღირებულებაზე წარმოდგენა, არ იცოდა ღირებულების საზომავი, ღირებულების შინაარსი. პირველი ფორმა გაცვლა-გამოცვლია და ვაჭრობისა საჩუქრის აღებ-მიცემა იყო, რომელიც, ჩვეულებრივ სხვა და სხვა ხალხებს შორის ხდებოდა და არა მონათესავე თემებში. სტუმართ-მოყვარეობა საზოგადოთ ჩვეულებათ იყო აღიარებული. აი, აქ უნდა ვეძებოთ პირველ ყოფილ გაცვლა-გამოცვლის დასაბამი. გაცვლა-გამოცვლა ანუ აღებ-მიცემა საჩუქრის აღება-გაღების ნიადაგზე

განვითარდა. ვინც რამე საჩუქარს გასცემდა, იგი მუდამ საჩუქარის მიმღებიდან სამაგიერო საჩუქრის მიღებას ელოდებოდა. ამ წესით გაცვლა-გამოცვლა წინასწარი, წინამორბედი, პირველი საფეხურია ნამდვილ ვაჭრობისა. ერთი წინ გადადგმული ნაბაჯი ამ საფეხურზე უკვე ნამდვილი გაცვლა-გამოცვლის ხასიათს, ნამდვილ ვაჭრობის სახეს ღებულობს. რასაკვირველია, ამას წინ უძღოდა კარჩაკეტილ მეურნეობაში ხელოსნურ პროფესიების აღორძინება-განვითარება, რომლებიც უმთავრესათ საგნების ზედმეტ დამზადებაში გამოიხატებოდა. ახლა ხელოსნების ნაწარმოები აღემატებოდა ოჯახის ჩვეულებრივ მოთხოვნილებას, სახლში თუ თემში ზედ-მეტი ნაწარმოები რჩებოდა, ეს კი ბაზარზე უნდა გაეტანათ გასასყიდათ. აქედან იწყება რეგულიარული, სისტემატიური ვაჭრობის ხანა, აქედან იწყება თანამედროვე გაცვლა-გამოცვლის ისტორია. შემდეგში იგი ვითარდება, გადადის უმაღლეს საფეხურზე, რომელიც ზედმეტი ღირებულების, და მეტი მოგების ხანათ იწოდება.

შვარცი.

## ბებერი მბელი.

(ლექსი პროზათ)

საწყლათ, საზარლათ ქვითინებს ქარი... აკვნეს-ავოდებს ტყეს უდაბურსა... მთა-გორათ შორის რბის, ვით ეული; მთის ორწოხებში ჰკვივის... ქოთქოთობს... დარბის და დაძრწის ცოფიანივით...

ზამთრის სუსხია. მძვინვარებს ყინვა. თოვლით დაფარულ არე-მიდამოს თითქოს ღრმა ძილში განუსვენია... ღამეა... ბნელა... ცის ლურჯ გუმბათზე ოქროს ურიცხვი თვლები დადიან, დაბლა კი... ბნელა... ცივა... ქარი ჰქრის... არსი ყოველი ბინა-ბუნაგს შეჰკედლებია. გარეთ კი მხოლოდ ყინვა დაძრწის... ყინვა, ეული...

ჩუ! შორს დაჰყმუვლა... დაჰყმუვლა და ხმა ჩაეკმინდა, თუ მონაბერმა სტიქიონმა ჩააწყვეტინა... ბებერი მგელი გამოსულა საშოყარზედა. შიმშილი სტანჯავს: მთელი კვირა აგერა გადის და მის მსუნაგ კბილთ არ გაჰკვრია რბილი, არც ძვლი!.. შიმშილი სტანჯავს: გულს უქენჯნის, გონებას ურევს... თფილი ბუდიღან არც უნდოდა იმას გამოსვლა ამ სუსხიანსა, ქარ-ფისიანს ოხერ ღამეში, მაგრამ შიმშილმა აატროკა, გამოიტყუა და აწტყე-ღრეში, მთის ორწოხთა, ხრიოკ სერთ შორის, ნელის ძუნძულით, უგზო-უკვლოთ მიეღწევა: გაირბენს ცოტას, შესდგება და... ჰაერს გაჰყნოსავს... გრძნობა ღალატობს! აღრინდულათ თვალთ არ უქრიან! დანანაკლ სმენას ქარი კიდევ უფრო უსუსტებს, მაგრამ ყველაზე კბილებიდან უფრო ვაი სჭირს: მოირყენ ძალზე, მოფამფალდენ, გადაილესენ... ველარა სჭრიან აღრინდულათ, ძვლებს სულ ველარ ხვრენ და რბილზედაც კი ვერ იჩენენ საკმაო ძალას. აი, წინაზე მწყემს ბატკანი გამოჰპაროდა, ტყეში ნეკერსა უდარდელათ ეცვლქებოდა... ნახა მან ესე სანახავი, ეგ საოცნებო! სიზმრათ კი არა, ცხადათ,

მხოლოდ სიზმრათ აუხდა: დასტაცა პირი, მაგრამ ვაი! კბილთ უღალატეს: ერთის მოქერით ველარ გასჭრეს ბატკნის კისერი! მორთო ბღაველი გულსაკლავათ იმ სასიამოვნო! თურმე მეცხვარე მის საძებრათ წამოსულყო, იქ, ახლოს მყოფმა, ბატკნის ხმაზე დასცა ყუჩინა! მოუხმო ძაღლებს!.. ასტყდა ყეფა... ასტყდა ხმაური და... გაიფანტა საუკუნოთ ვე სინამდვილე!.. ახსოვს ეს... არა!.. არასოდეს!.. ეს მას არ ახსოვს!.. აი, თუნდა ახლაც რომ შეხვდეს მას იგივე ბეკეკა, ასე ჰგონია, მყის ჩასანსლავს... ჩაახრახუნებს... და ნიშნათ თავის ღრმა რწმენისა კბილებისადმი, სურდა ძაღლმათ ერთი მათი ახრქიანობა: ყბებს მოუჭირა, მაგრამ მწარეთ იგრძნო ტკივილი და... აღრიალდა... აყუთილდა ის გულსაკლავათ!..

შორს სოფლებშია, პასუხათ, ძაღლთ გაისმა ყეფა. ღამის გუშაგებს არ იამათ მგლის ხმა სახარი; ასტყდა წკმუტუნნი, ბევრს დაჰქროლა შიშისა ქარმა, უფრო გულადნი საბრძოლველათ თუმც გაემზადენ—ზურგზე ბალანი შიშისაგან ყალყზე დაუდგათ...

ყეფისა ხმაზე ღამის ქურდიც შეკრთა... შეჩერდა... ტუჩი ასწია და ცივს ჰაერს ყნოსვა დაუწყო: ვაჰ! სოფლის ბოლოს შემოსულა... აწ საფრთხილოა: ასი ნაბიჯი და... ტყე უკვე მინდვრით თავდება. იქ, შორი-ახლოს ფარეხია, მან კარგათ იცის, ბევრჯერ ყოფილა ის იქ სტუმრათ! ბევრჯერ... ოჰ, ბევრჯერ!.. და მოგონებამ ნერწყვი... ცივი ნერწყვის ლორწოთი აუფსო პირი... დაამთქნარა... ააწკლაპუნა... შეკრთა, შეტოკდა, შეტორტმანდა... შემოტრიალდა.. მობრუნდა: ისევე ფარეხისკენ დაიწყო მხერა... კვლავ შეტორტმანდა და გაყინულ გაფიფქულ თოვლზე წინა ფეხები მძიმეთ... მძიმეთ აბაკუნა... რყევაში იყო: სურდა რალაც, ვერ გაებდნა... ეჰ, რაც მომივა, მომივიდეს!.. ბოლოს სთქვა გულში და გაეშურა საოცნებო ადგილისაკენ... მაგრამ ჯერ კიდევ ათი ბიჯიც არ გადაედგა, რომ აქოთქოთდა, აგლოვზარდა მთელი სოფილი: „ჰაუ!.. ჰაე... ჰაუ!.. ჰაუ!.. ჰაუ!..“ ისმის ყოველ მხრით. ეგ ძაღლებია! ოჰ, ძაღლები... ეგ საზიზღრები!.. „ჰაი დედას! რა დღეში ვარ, რის გადახედე!..“ და ტუჩ-აწვეით სოფლისაკენ გაძაბა თავი... ისმის წკავწკავი: „ჰაუ!.. ჰაუ!..“ სცემენ ნაღარას...

ჩუ! იქ... „ჰამ! ჰამო!“, არახროხდა ბოხ ხმით ქოფაკი. (ეს ხმაზე ატყობს, მეფთარებში ვინ რაც ბიქია!)

ჩუ! იქით, კიდევ... კვლავ ქოფაკი ბოხ ხმით დასძახის, აი, ისინი, ისინია მხოლოდ საფრთხილო!.. ეს მოწკავეწკავე ლაშქარი კი... ეს საცოდავი... მაგრამ ქოფაკნი... ბრ! მთელს ტანში შიშმა დაჰქროლა და დაუარა ცივათ მხვლეტავ ჟრუანტელივით... გაბრუებული, შიმშილისგან კუჭ გამომწვარი, გონ-არეული, სიბოროტით გულ ამღვრეული, იღვა ერთ ადგილს გაუნძრევლათ, ვით ქანდაკება! თვალეში ჩინი გაღვოდა, პირი დაელო და... შეტორტმანდა... შეხტა იგი ერთი გიჟურათ! წრე გააკეთა, ჩაბუქნა და... გაკურცხლა წინა!.. მხოლოდ არღარა ესმოდა მას... არ-რა ახსოვდა!..

...დილის რიყრეჟმა გადახადა მიწას სუღარა და მის თეთრ საბანს სხივთა მტვერა მზემ დააფრქვია...

სოფლათ ყუჩინა გასმოდა: „არქა, ბიჭო, მგელი მორბისო, ცოფიანი! დახვდით... დახვდითო!“ ხელში კეტებით, ნაჯახებით, წალღებ-ნამგლებით... ვისაც კი ქონდა იარაღი რამ ჟანგ დაკრული, გამოეტანა გასაჭირში მოსახმარათ... ქალნი მამაკაცთ აქეზებდენ და ბაღლებიც კი ტიტველ-შაშველნი დერეფნებში დაცუტკებულნი თვალს აღევნებდენ ამ უჩვეულ სანახაობას!.. საბრალო ყურმა!.. ქოხის კედელს ატუხებოდა და წკავ-წკავებდა, წკავწკავებდა გულის საკლავათ... ჯერგეს ქოფაკი კი კვალ და კვალ მისდევდა მგელსა, რომელსაც ხალხი ყოველის მხრით შემოსეოდა: „ვერა... ვერ წახვალ!“.. დასძახოდენ აქეთ-იქიდან...

...„ჰოი, ბებერი ყოფალოა ეგ საცოდავი!“ კბილზე დაჰხედა ერთმა მკვდარს მგელს და სხვებს შესძახა... ტყავი გაჰხადეს... „არც ეგ არის სახარბიელო: სიბებრისაგან ბალანი სულ გასცდნიაო“, ასე ამბობდა მეორე და ტყავს ითვისებდა.

—გქონდეს, ძაპია! აქეთ იქით გაისმა ხალხში: „ვინ იცის? იქნებ, ცოფიანიც იყუ ეგ ბაღში!..“ და შეგროვილმა ხალხმა დაშლა იწყო ნელ-ნელა...

ნ. ზიმლითული

## მუშათა კავშირები თფილისში.

ამ მარცხის შემდეგ ზოგიერთმა ხელოსნებმა გული მაინც არ გაატეხეს და რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთ ცნობის ფურცლის საშუალებით მიმართეს „შუამავლის“ გამგეობას. ხელოსნები ეუბნებოდენ გამგეობას, რომ თუ თქვენს დაპირებულს შეასრულებთ და გავვიხსნით ჩვენი ნაწარმოებისთვის საწყობს, ჯერ ერთი, რომ „შუამავალი“ ისარგებლებს ხელოსანთა ნივთების გაყიდვით და მეორეც, მყიდველი ჩარჩების კლანჭებს ასცდება და უტყუარ საქონელს მიიღებს პირდაპირ მწარმოებლისგან და შესამეც, მუშა ხელოსნები თავის შრომაში კუთვნილ სასყიდელს მიიღებენ და აღარ გაეყვლიფებიან უზომოთ წურბელა ჩარჩებსო.

მაგრამ ხელოსნების ეს წინადადებაც უყურადღებოთ იქნა დატოვებული „შუამავლის“ ამხანაგობის გამგეობისაგან. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთ „ცნობის ფურცელმა“ მიიწვია ხელოსნები თავის რედაქციაში მოსალაპარაკებლათ, თუ როგორ მოაწყონ დურგალთა ახალი ამხანაგობა. რასაკვირველია, ხელოსნებმაც დიდი სიამოვნებით მიიღეს ასეთი მოწვევა და მეორე დღესვე რამდენიმე ხელოსანი „შრომის“ წესდებით ხელში რედაქციაში მივიდენ, სადაც მათ ინახულეს თვით რედაქტორი ბ. ვ. გუნია და აქვე სხვათაშორის მყოფნი ბ. ბ. ნასიძე და კ. მესხი. ამ უკანასკნელთაც მიიღეს მონაწილეობა ხელოსანთა პირველ თათბირში. ბევრი რჩევა-კამათის შემდეგ გადასწყვიტეს, რომ თვით მუშა ხელოსნები ჩაუდგენ

სათავეში თავიანთ საქმეებს და მოაწყონ ღურგალთა და სხვა ხელოსანთა ამხანაგობებიც.

ხელოსნებმა ასეთი რჩევა-დარიგება დიდი სიამოვნებით მიიღეს, მით უმეტეს, რომ ისინი დაგვირდნენ, რომ გარედან, წერით თუ სიტყვით, დიდათ დაგეხმარებოთ.

პირველი კრება „შრომის“ ამხანაგობისა შესდგა 15 თიბათვეს, 1897 წელს. კრებას დაესწრო 200 კაცამდე ხელოსნები და ინტელიგენტები. ამ დღიდან 15 თიბათვემდის 1898 წ. საწევრო თანხათ გაუხდა 320 მანეთი და წევრთა რიცხვი 60 კაცამდე ავიდა.

ჩქარა ამის შემდეგ საერთო კრებამ გადასწყვიტა, რომ დაიქირაონ სახელოსნოს მოსაწყობათ ადგილი და შეძლებისა და თანხის-დაგვართ დაიწყონ მუშაობა. გაიხსნა ღურგალთა სახელოსნო, სადაც 15 კაცამდის თავიანთი იარაღით მოთავსდნენ, ამ 320 მანეთით იყიდეს მასალა, ზოგიც იარაღი და შეუდგენ მუშაობას. ამხანაგობის საქმეებს თვით მუშები განაგებდნენ. მხოლოდ გარედან ფულის ანგარიშში ზოგიერთი ინტელიგენტი ეხმარებოდა.

საყურადღებო აქ ის გარემოებაა, რომ ამ ღურგალთა ამხანაგობაში სხვა პროფესიის ხელოსნებიც ეწერებოდნენ წევრათ, ალბათ იმ მოსახრებით, რომ ამხანაგობის გაფართოების შემდეგ სხვა პროფესიის სამუშაო განყოფილებაც გახსნილიყო.

საქმე კარგათ წავიდა. 19 თვის შემდეგ ძირითადი თანხა 320 მანეთი 2995 მ. ავიდა.

მაგრამ მდგომარეობა კვლავ შეიცვალა. ამხანაგობაში, როგორც შევნიშნეთ, არა ხელოსნებიც მოყვენ წევრათ. მათ-შორის იყო რამდენიმე მოხელეც. აი, ამათ აღარ მოეწონათ წესდება „შრომის“ სახელწოდებით, რადგან იგი მარტივათ, უბრალოთ იყო შედგენილი და მისი სახელი გადანათლეს არტელათ, რასაკვირველია უფრო რთულათ და „დიპლომატიურათ“. არტელის წესდება 1900 წელს, 13 მაისს სამინისტროს დაამტკიცებინეს და მის მიღებისათანავე გამგეობის რეორგანიზაციაც მოახდინეს. ახალ გამგეობაში მოყვა 2 ინტელიგენტი და 3 ხელოსანი, რომელთაც 1900 წელს, 12 მარტს, ძველი გამგეობისგან ჩაიბარეს სრული ანგერიში.

ამის შემდეგ ახალმა გამგეობამ ჩინოვნიკურათ მოაწყვა ამხანაგობის საქმეები, გააკრეს ქარხანაში განცხადებები, იწყეს ათას-გვარი ბძანებლობა და სხ.

აეკრძალა ქარგალ-შეგირდებს წიგნების კითხვა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით სიბეჯითეს იჩინდა გამგე ხელოსანი ზ. ნ — შვილი. ეს ვაჟბატონი თუ მოასწრობდა ვისმეს ხელში გაზეთს ან წიგნს, მაშინვე ხელიდან გამოგლეჯდა და დაუხვედა, თუმცა ქარგალ შეგირდები დასვენების დროს კითხულობდნენ წიგნებს, მაგრამ ბ. გამგისთვის ეს სულ ერთი იყო.

ძველ გამგეობას ქონდა შინაური სამკითხველო და პატარა წიგნთ-საცავი, მაგრამ ახალმა გამგე-ბატონებმა სრულიდ მოსპეს წიგნთ-საცავ-სამკითხველო და გაამფეს სრული ბიუროკრატიული რეჟიმი. ქარგალ-შეგირდი ვალდებული იყო, დაჰორჩილებოდა გამგეობის სასტიკ ბრძა-

ნებას, მოვალე იყო, დიდის მოწიწებით, მონურათ, თავანის ცემით მოკლებოდა გამგეობის წევრებს და ბ. ბუზგალტერს, რომელიც მუშტების ჩვენებით ქარგალ-შეგირდებს ვალდებულიათ ხდიდა, რომ მისთვის შორადანაც კი სალამი მიეცათ. ამ ვაჟბატონების ხელში ხელოსან წევრების დათხოვნას და არა წევრთა ძიდებას საზღვარი არ ქონდა. ან ვინ დაუშლიდათ, როცა ამხანაგობის ქარხანა მიითვისა გამგეობამ! საქმე ისე დააყენეს, რომ მათ ჯამაგირებსაც კი არ ყოფნიდა ამხანაგობის მოგება, და ეს იმიტომ იყო, რომ სრული არევ-დარევა და უთავბოლობა სუფევდა. ამას ნათლათ ამტკიცებს მაშინდელი დავთრები. ძველი გამგეობისგან 1900 წელს დატოვებული თანხა უდრიდა 2955 მანეთს, 1903 წლამდის კი დაკლებოდა თანხას 542 მანეთი, ხოლო 1904 წლისთვის ამხანაგობას დარჩა მთელი ქონება სულ 2413 მან. ამ ციფრებს ზემო წლების ანგარიშები და გაზეთებაც ამტკიცებენ. 1905 წელს გამგეობამ ხომ მთლათ გაფლანგა ამხანაგობის წვითა და დავით შეგროვილი ფულები, მთელი ავლა-დიდება.

ყველა ეს არც უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, რადგან ჯერ კიდევ 1901 წელს, 29 ივლისს, საზოგადო კრებაზე გამგეობის თავმჯდომარემ ბ. გ. ქურდიანმა აღიარა თავიანთი უვარგისობა, უმწყაითობა, ურთი-ერთ შორის უთანხმოება და თვითნებობა, რომლის მეოხებითაც ამხანაგობას მოუვიდა ზარალიო!...

მ. ჩ—ლი.


(შემდეგი იქნება)

# მ ც ი რ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა .

რეცენზიის მაგიერი

ორშაბათს, 24 მაისს, სახალხო სახლში ვიდაც „ქართულ სცენის მოყვარეთა ჯგუფმა“ „წარმოადგინა“ პ. ირეთელის მიერ გადმოკეთებული პიესა „ქრისტინე“. წარმოდგენის შესახებ მხოლოდ „სახალხო გაზეთში“ იყო „რეცენზია“ დაბეჭდილი და, გაკვირვებით უნდა ვთქვათ, რომ ეს, უკაცრავათ პასუხია, „წარმოდგენა“, თუ მეტი არა, ღმობიერათ მაინც იყო მოხსენებული...

მას შემდეგ ჩვენ გვეგონა, რომ სახალხო თეატრის გულშემატკივარნი ამ საქმეში ხმას აღიმადლებდნენ, მაგრამ დღემდის არაფერი ისმის. ჩემი აზრით კი აუცილებლათ საჭიროა, ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და აი, რატომ: ზემოხსენებულ „დრამატიულ ხელოვნების მოყვ. წრეს“, როგორც უწოდებენ ხოლმე თავის თავს, ჩვენ დიდი ხანი არ გავცნობილვართ. სახალხო სახლში თითქმის ორი თვეა, რაც მოიკალათეს. პირველათ დადგეს „სამშობლო“ და ახლა კი „ქრისტინე“. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს „ჯგუფი“ შემთხვევითია და ყურადღების ღირსათ არ ეთლიდით, რადგან მათი



დღეები დათვლილათ მიგვანდა; ახლა კი სჩანს, რომ მათ მუდმივად განუძრავად წარმოდგენების მართვა და მით ხალხის სამსახური ხელოვნების დარგში. მიზანი რასაკვირველია, სიმპატიურია, მაგრამ შესწევთ კი საამისო ძალა?

აი, ამაშია საქმე და ამან აგვალაპარაკა „ქრისტიანის“ დადგმის შემდეგ. ამ საღამოს დავრწმუნდით, რომ თუ სახალხო სახლი ასე უკანტროლოთ ჩაუვარდა ხელში ყველა გამეღვლეს და მით ნება მიეცა, ხალხისთვის იაფ ფასიანი წარმოდგენების მიწოდების მაგივრად მისი ნორჩი სმენა სჯიჯგონ, ჩვენ მივალწევთ მას, რომ ხალხს თეატრისადმი აპატიო მოიცავს. ამიტომაც საქიროა, უპირველეს ყოვლისა, ამ გარემოებას ყურადღება მი-აქციოს ქალაქის თვითმართველობამ და არ გასცეს დღეები ისეთ უსუსურებზე, რომელთაც ხელოვნების არაფერი გაეგებათ. თუ მათ არ შეუძლიათ იცოდნენ ან თუ იმ „ჯგუფის“ ავ-კარგიანობა, მათ ამ საქმეში დაეხმარება მუდმივად „ქართულ წარმოდგენების მმართველი „წრე“. ხალხი მას ენდობა და მით ავიცილებთ იმ სამწუხარო შედეგს, რომელიც მოყვება ხელოვნების ასეთ გაბიაზურებას. ვიტყვით მეტსაც: „წრე“ პირდაპირ ვალდებულია მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება, მით უფრო, რომ ხსენებულ საღამოს ხშირი იყო უკმაყოფილება თვით „წრის“ ადრესზე, რადგან ზოგიერთებს წარმოდგენა „წრის“ ეგონათ. არაფერ იფიქროს თითქო სახალხო სახლის მონაპოლისტათ გამოვდიოდეთ! პირიქით, მართეთ, ბატონებო, წარმოდგენები რამდენიც გენებოთ, მაგრამ ფრთხილათ: ხალხის ლტოლვილება თეატრისადმი ჯერ კიდევ ნორჩია და ვაი, თუ სულ დავღუპოთ მით, რომ გურულ კილოს მაგიერ ავლაბრული კილო მივცეთ და გატაცებულ გმირების დახასიათების ნაცვლათ ღრიალით გავუმასპინძლდეთ?!

დასასრულ, ორიოდ სიტყვა თვით პიესის ავტორის საყურადღებოთ. ჩვენ სწორეთ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ პ. ირეთელი შეგნებულათ დასთანხმდა, მთელი საღამოს განმავლობაში ეჯიჯგნათ და ეწამებიათ მისი პიესის გმირები! ნუ თუ არ იცოდა „ჯგუფის“ შემადგენლობა?...  
ი.ს.

## სოციალიზმი და ანარქიზმი.

(პროფ. ნ. რაიხესბერგის)

ყოველივე ამის აუცილებელი შედეგია კრიზისები, რომელნიც ძირს უთხრის მეურნეობის ყოველგვარ დამოკიდებულებას. ვაჭრობა ჩერდება, წარმოება მცირდება ან სრულიად წყდება და იწყება საშინელი უმუშევრობა. აი, ეს მოვლენებია თანამედროვე წარმოების აუცილებელი დამამშვენებელი. რაც ღრე ვადის, ასეთი კრიზისები უფრო ხშირდება, ხდება პერიოდული და ბოლოს საქმე იქამდე მიდის, რომ საზოგადოების ყველა წრეები გრძნობ-

ენ ასეთი მდგომარეობის საშინელებას, ყველა გამოდის ჩვეულებრივი კალაპოტიდან.

ასეთი მდგომარეობა ღრმა უფსკრულით უკავს საზოგადოებას ორ ნაწილათ: ერთ მხარეზე არის აურაცხელი მასა ღარიბ-ღატაკთა, რომელთაც სარჩოს მოპოვებაც აღარ შეუძლიათ თავისი შრომით, რადგან ვეღარ შოულობენ საქირო ქირას, მეორე მხრით კი—მრავალი კაპიტალისტი, აუარებელი ქონების პატრონი, მაგრამ ამასთანავე მოკლებული ამ სიმდიადის გამოყენების საშუალებას, რადგან ზედმეტ ღირებულებას ვერ იღებს.

აი, აქ იწყება, სოციალისტების აზრით, ის მომენტი, რაცა ეს წესწყობილება უნდა დაიმსხვრეს, რადგან მას უკვე აღარ ძალუძს თვით გაბატონებულთა და შეძლებულთა ინტერესების დაცვა და სამსახური.

მისი ადგილი უნდა დაიჭიროს ახალმა საზოგადოებრივმა წყობილებამ. ეს დაიკავს წარსული ეპოქის შენაძენს, შესძლებს, ააშოროს საზოგადოებას ძველი წესის ნაკლები ევანგელა ცხოვრების ახალი ფორმების შექმნით და მით შეუთანხმებს ცხოვრებას ახალ მიზნებსა და იდეალებს.

აი, ეს ახალი საზოგადოებრივი წესწყობილება არის სოციალისტთა მისწრაფების საგანი, რომელიც უნდა დაწყარდეს ძველის ნაცვლათ.

### XII

მაგრათ ეს ახალი წყობილება ხელოვნებით გარდაქმნის შედეგი კი არ იქნება. წინააღმდეგ, ის დამყარდება ქვეყნათ სრულიად ბუნებრივად, როგორც შედეგი წინანდელი ეკონომიური განვითარებისა.

ამიტომაცაა, რომ სოციალისტები არ კისრულობენ მომავალი საზოგადოების დაწვრილებითი სურათის წარმოდგენას, რასაც დაჟინებით თხოულობენ მათგან მათი მოწინააღმდეგენი. თანახმათ თავიანთ ისტორიული შემეცნებისა, მათ შეუძლიათ მხოლოდ (ცხოვრების) განვითარების ტენდენციისა და მოსალოდნელ ცვლილების დამახასიათებელ თვისებათა აღნიშვნა.

საზოგადოათ კი სოციალისტებს ასე აქვთ წარმოდგენილი საქმე. დღევანდელ საზოგადოებაში გამეფებული ანარქია წარმოებისა და ნაწარმოების განაწილებისა მოისპობა, რადგან წარმოების რაოდენობა შეთანხმებული იქნება მცხოვრებთა მოთხოვნილებასთან. ეს თავის მხრით მოითხოვს შრომის ორგანიზაციას, არა მარტო კერძო წარმოებაში, სადაც დღესაც კი არის ასეთი ორგანიზაცია, არამედ მთელი საზოგადოების შრომის მოწესრიგებას, რითაც, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა ვანდენილი იქნება თავისუფალი კონკურენციის პრინციპი. ყველ ჰომუშავეთა სოლიდარობა (თანხმობა აზრის მოქმედებისა) დაიქვრს მათ შორის არსებულ შუღლის ადგილს, რადგან საზოგადოების კერძო წევრთა ინტერესების წინააღმდეგობას ახალ საზოგადოებაში აღარ ექნება ნიადაგი. მაგრამ ყოველივე ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც კერძო საკუთრება აღარ იქნება წარმოების იარაღებზე, სადაც, მაშასადამე,

ეს იარაღები შეადგენენ მთელ საზოგადოების კუთვნილებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლება საზოგადოებას წარმოების პროცესისა და ყველა მშრომელთა ინტერესების შეთანხმება და ხელმძღვანელობა. რასაკვირველია, ამ დროს მოსახმარი ნივთები კერძო პირთა განუსაზღვრელ უფლებაში იქნება, მაგრამ მათ მხოლოდ შრომის მიერ მოტანილი შემოსავლის ხასიათი ექნება, ასეთი ნივთები მოქალაქეს მხოლოდ რაიმე დამსახურებისათვის ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სასარგებლო შრომისათვის მიეცემა და ისიც ამ შრომის შესაფერი რაოდენობით.

ასეთია საზოგადოთ იმ ეკონომიური შესწყობილების მთავარი თვისებები, რომლის დამყარებაც სურთ სოციალისტებს. სოციალისტები იბრძვიან ამ შესწყობილების დასამყარებლათ არა მარტო იმიტომ, რომ ასეთი შესწობილება უმჯობესია მათი აზრით, არამედ კიდევ უფრო იმიტომ, რომ მათი აზრით ამ შესწობილებამ უნდა დაიპიროს არსებულის ადგილი, როგორც ბუნებრივ-აუცილებელმა. ამის გამო მათი ბრძოლის მიზანი უმთავრესათ ახალი საზოგადოების წარმოშობის ტკივილების შემსუბუქებაა. რაც შეეხება დანარჩენ ორგანიზაციებსა და ფორმებს, რომელნიც უნდა წარმოიშვას მომავალ საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროში, ესენი, სოციალისტების აზრით, თვით შეეგუებიან ცხოვრების შეცვლილ ეკონომიურ ნიადაგს, რადგან თვით ისინი მხოლოდ ზედნაშენს წარმოადგენს.

თანახმათ ასეთი შეხედულებისა, სოციალისტების აზრით, მეტია წინაწინ თავის მტვრევა იმის შესახებ, თუ როგორი იქნება ეს ზედნაშენი, რადგან თვით განვითარების მსვლელობა მიიყვანს მას, ბოლოს სასურველ შედეგამდე.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიძე

პარასკევს, 11 ივნისს

## სახალხო სასლში გაიმართება

# საღამო

I  
ლიტერატურული გასამართლება

ბანდუგილისა, ი. ჯავჭავაძის პოემიდან.

II  
აშენდა საქართველო! სცენები სტუდენტ-ცხოვრებიდან.  
გამგე ა. ლანდია

## სახალხო სასლი.

ორშაბათს, 2 ივნისს, 1910 წელს.  
ლ. ჩერქეზიშვილის და ნ. ჯავახიშვილის  
მონაწილეობით სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენ. იქნება

# ქრისტიანე

ღრამა 4 მოქმედებად 3. ირეთელისა.  
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ს. ანკარა, თ. თამარა-შვილი, ა. კავთელი, ე. ციმაკურიძე; ბ-ნნი: გ. ანაშვილი, მ. ინაშვილი, ა. მეტრეველი, მიშა, ს. ნარი, ს. პეპანოვი, მანჯავიძე, სალაყაია, რატიშვილი, ჭანკვატაძე, ციბაძე.  
**დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.**  
ბილეთების ფასი 1 მ. 10 კ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილით 12—2 საათამდე საღამოთი 8—8 ს. გამგე ა. ბადრიძე

## „ჩვენი გაზეთი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გ ა ზ ე თ ი ლ ი რ ს :

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

<b>ქალაქ გარეთ</b>	◆	<b>თფილისში</b>
3 თვით—2 მან. 50 კაპ.	◆	3 თვით—2 მან. 20 კაპ.
1 „ — — — 90 „	◆	1 „ — — — 80 „

გაზეთის გამაწყრს შეიძლება მხოლოდ თვის 1-ლ რიცხვიდან ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

რედაქციის ადრესი:

რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.  
თფილისის გამოსავგზავნი ადრესი:  
Тифлисъ, тип. „Промѣ“ Калистрату Конст. Цуладзе.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოსცემის გარდა გაზეთს იქნება კვირეული

### სურათიანი ღამატიკა

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆◆◆◆  
◆◆◆◆ დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.  
წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: თფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12, Семену Пашалишвили.